ა. გოგუაძე

ღიმიჭრი ნაზარიშვილი

სახელმწიფო გამომცემლობა
„საბჭოთა საქართველო“
თბილისი — 1960

ქართველი ხალხის სახელოვან ისტორიაში მრავალი გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეა ცნობილი. მაგრამ ზოგი მათგანის შესახებ მაინც ძალზე ცოტა რამ დაწერილა. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი დიმიტრი ალექსანდრეს ძე ნაზარიშვილი (ნაზაროვი) მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართველი მოწინავე ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენელია, რომელმაც ჩვენი ხალხის იმდროინდელი თაობის ფიზიკური და სულიერი გაჯანსაღების საქმეს უდიდესი შრომა და ენერგია მოახმარა.

ჩვენ შევეცადეთ, ნაშრომში წარმოგვედგინა ამ გამოჩენილი ქართველი მეცნიერი-ექიმის ცხოვრება და მოღვაწეობა.

შრომის სამედიცინო ნაწილი ძირითადად ემყარება დამსახურებული ექიმის დოც. ი. ასლანიშვილის მოხსენებას, რომელიც მან წაიკითხა დიმიტრი ნაზარიშვილის დაბადებიდან 100 წლის შესრულებისადმი მიძღვნილ საქართველოს თერაპევტთა საზოგადოების გაფართოებულ სხდომაზე 1955 წლის 11 აპრილს ქალაქ თბილისში.

ავტორი

დ. ა. ნაზარიშვილის გავშვობა და სწავლა-აღზრდა

დიმიტრი ნაზარიშვილი (ნაზაროგი) დაიბადა 1854 წელს ქ. ქუთაისში. დიმიტრის მამა, ალექსანდრე ნაზარიშვილი, იყო ქ. გორიდან. დედა მარიამი, მაჟავარიანის ქალი, კი იმერეთიდან. დიმიტრის მამის ოჯახი ქუთაისში უქიმერიონის ფერდობზე, არქიელის გორაზე იყო დასახლებული, სადაც ამჟამადაც ფანტასტიკურადაა აღმართული დიდებული გარეგნობით შემკული, ბევრი ქართული ხუროთმოძღვრების უშესანიშნავესი ძეგლი — ბაგრატის ტაძრის ნანგრევები.

დიმიტრი ხშირად ,ხუმრობით ამბობდა თურმე: „მე ვარ გამოუშეღავნებელი მგოსანი; მე ჩემი პოეზია მივიღე ადრეულ ბავშვობაში ამ ხავსმოდებული ქვებიდან — საყვარელი ბაგრატის ტაძრის ნანგრევებიდან“. პირადად მისი და მისი მახლობლების სიტყვებით, მას ბავშვობაში შეეძლო მთელი საათობით მჯდარიყო კლდის ბორცვზე და ეცქირა მის თვალწინ გაშლილი რიონის ველისათვის, რომელსაც შორიდან გადმოჰყურებდა გელათის მონასტრის დიდებული სილუეტი.

დიმიტრის ოჯახის წევრთა გადმოცემებისა და სხვა სარწმუნო წყაროების თანახმად, მისი წინაპარი, თავადი დავით ნაზარიშვილი, საქართველოდან ვახტანგ მეექვსეს თან გაჰყოლია რუსეთში[1]. დავითის მემკვიდრეებიდან პეტრე კვლავ საქართველოში დაბრუნებულა. დიმიტრის მამა ალექსანდრე საქართველოში დაბრუნებული პეტრეს მემკვიდრე ყოფილა, მისი გადმოსვლა იმერეთში და, კერძოდ, ქუთაისში იმით იყო გამოწვეული, რომ მეუღლე, მარიამი, აქაური იყო. ალექ-

[1] იხ. Ф. А. Брокгауз, И. А. Ефрон, «Энциклопедический словарь», том XX, 1897 г., С-Петербург, გვ. 460.

სანდრეს ხუთი შვილი ჰყოლია: დიმიტრი, დავითი, ტიტე (ტიტიკო), პოლინა (მარო) და ეკატერინე (კატო). ტიტე ბავშვობაში გარდაცვლილა.

როგორც ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცული მასალებიდან ირკვევა, ალექსანდრე ნაზარიშვილი ერთ დროს სპარსეთსა და თურქეთში იმყოფებოდა წარმომადგენლად. როგორც გადმოგვცემენ, ალექსანდრეს დაბრუნება თურქეთიდან და „სტუმრობა" საკუთარ ოჯახში დიდი ზეიმით აღინიშნებოდა ხოლმე. იგი უდიდეს მზრუნველობასა და გულუხვობას იჩენდა ოჯახის წევრებისა და მახლობლების მიმართ. განსაკუთრებით უყვარდა მას უფროსი ვაჟი — პატარა მიტო (დიმიტრი). მაგრამ მოულოდნელად გარდაიცვალა ალექსანდრე და მისი ოჯახი მატერიალურად მძიმე პირობებში მოექცა.

მცირეწლოვანი დიმიტრი დედამ მიაბარა მრევლოვის სკოლაში. ამ დროს მასთან სწავლობდა ნიკო ნიკოლაძე და ალიოშა გაბაშვილი. სწორედ აქედან ჩაეყარა საფუძველი ამ სამეულს მტკიცე მეგობრობას.

მკაცრი და არასწორი პედაგოგიური მეთოდი — შიშველი მუხლებით სიმინდზე დგომა, თითებზე სახაზავით ცემა და ფიზიკური დასჯის სხვა საშუალებანი სრულიადაც არ იძლეოდა მოსწავლეთა ნაზი გრძნობების ნორმალურად აღზრდის საშუალებას.

პატარა მიტოს გიმნაზიაში შესვლის დრომაც მოაღწია. მამის დამსახურებისა და დაობლებული ოჯახის ეკონომიური მდგომარეობის მიხედვით, იგი სახელმწიფო ხარჯზე გიმნაზიის პანსიონატში ჩარიცხეს. მაშინდელ კლასიკურ გიმნაზიაში სწავლა-აღზრდის მდგომარეობა და საერთო ატმოსფერო, სადაც სწავლობდა დიმიტრი და მისი მეგობრები — ნ. ნიკოლაძე, ა. გაბაშვილი და სხვ., მხატვრულ ფორმებში სინამდვილითაა წარმოდგენილი კინოსურათ „აკაკის აკვანში".

გიმნაზიაში დიმიტრი წარჩინებით სწავლობდა. გიმნაზიის სრული კურსის დამთავრების შემდეგ მას არ ჰქონდა საშუალება შეესრულებინა უმაღლესი განათლების მიღების სანუკვარი ოცნება. ითვლებოდა რა ოჯახის უფროს შვილად, იგი თავის

ზოვალეობად თვლიდა მატერიალურად დახმარებოდა თავის საყვარელ დედას.

გიმნაზიის დირექტორის მზრუნველობით, დიმიტრი ქუთაისში წვინდა ნინოს სასწავლებლის უფროს კლასებში ქართული ენისა და მათემატიკის მასწავლებლად იწყებს მუშაობას. მაგრამ, მიუხედავად ამისა, უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელების აზრი მაინც მისი ოცნების მთავარ საგნად დარჩა და მხოლოდ ერთი წლის შემდეგ, 1873 წელს, 19 წლის დიმიტრი ნაზარიშვილი პეტერბურგის სამედიცინო-ქირურგიული აკადემიის სტუდენტია. მასწავლებლად ყოფნის დროს დაგროვილმა თანხამ ამის საშუალება მისცა მას. როგორც მისი გადმოცემიდან ჩანს, სტუდენტობის პერიოდში დიმიტრი ძალზე გატაცებული იყო ხალხოსნური იდეებით.

დ. ნაზარიშვილი ქუთაისში მასწავლებლობის დროს.

სტუდენტობის წლები პეტერბურგში დ. ნაზარიშვილმა გაატარა თავის გულითად მეგობართა წრეში, რომელთაგან განსაკუთრებით პატივისცემით იგონებდა ალიოშა გაბაშვილს. მას იგი თვლიდა თავის alter ego-დ.

ალიოშა გაბაშვილი თავის მეგობართა წრეში უსაზღვრო სიყვარულითა და ნდობით სარგებლობდა, მომხიბლავ გარეგნობასთან ერთად, სტუდენტთა საზოგადოების ყურადღებას იპყრობდა მისი კეთილშობილური თვისებები. დიმიტრი ხშირად იგონებდა ხოლმე ა. გაბაშვილთან მეგობრული ურთიერთობის საინტერესო ეპიზოდებს. მისი პირადი გადმოცემით, ერთი ზაფხული რამდენიმე სტუდენტმა, მათ შორის ალიოშა გაბაშვილმაც, გაატარა პავლოვსკის კურორტზე. აქ მათ ჰქონდათ ცხოვრების უაღრესად ხელმოკლე სტუდენტური რეჟიმი. ერთ დილას ამ მეგობრულმა ჯგუფმა შეაგროვა 15 კაპიკი. დიდი კამა-

თის შემდეგ გადაწყდა, რომ ეს თანხა მიეცათ ალიოშასათვის, რომელსაც უნდა ეყიდა პური, ჩაი, შაქარი და ძეხვი, ალიოშა სწრაფად შეიმოსა თავისი შესანიშნავი თეთრი ჩოხით, შემოიკრა მამაპაპური ქამარ-ხანჯალი, დაიხურა ფაფახის ქუდი და გაეგართა მეზობელი დუქნისაკენ პროდუქტების შესაძენად. უნდა ალინიშნოს, რომ მას დიდი მოწონება ჰქონდა პავლოვსკის კურორტზე დამსვენებელ ქალთა შორის. დუქანში ალიოშას შესვლამ განაცვიფრა იქ მყოფი ხალხი, განსაკუთრებით ქალები, ყველამ გზა მისცა. გამყიდველი მივარდა მასთან და დიდი მოწიწებით ჰკითხა: „რას გვიბრძანებთ, თქვენო ბრწყინვალებავ?“ აი სწორედ აქ ჩავარდა ალიოშა გამოუვალ მდგომარეობაში. იქ მყოფი ქალების ყურადღებით უკიდურესად შეშფოთებული ალიოშა გაწითლდა, დაიბნა და რადგან ენა ბლუ იყო, ძლივს უპასუხა: „с-с-пички!“ თავაზიანმა გამყიდველმა 15 კაპიკად მიართვა მას მთელი შეკვრა ასანთის კოლოფები, ამგვარად შეასრულა ალიოშამ მეგობრების დავალება. თავის მშიერ მეგობრებს, საუზმის ნაცვლად. ასანთი მოგვართვაო, — იგონებდა დიმიტრი.

1873 წელს დიმიტრისთან ერთად სამედიცინო-ქირურგიული აკადემიის სტუდენტად ჩაერიცხა ვლადიმერ მიხეილის-ძე ბეხტერევი. სტუდენტობის დროს ვლადიმერი და დიმიტრი ერთ ოთახში ცხოვრობდნენ და გულმოდგინედ ემზადებოდნენ გამოცდებისათვის. პროფ. ვ. მ. ბეხტერევი, შემდგომში გამოჩენილი რუსი ნევროპათოლოგი, ფსიქიატრი და ფსიქოლოგი, ნერვული სისტემის მორფოლოგი და ფიზიოლოგი გახდა.

ვ. ბეხტერევი რუსეთის მოწინავე ინტელიგენციის თაობას ეკუთვნოდა. ვ. ბეხტერევს დ. ნაზარიშვილი ახასიათებდა, როგორც არაჩვეულებრივ გულმოდგინე და შრომისმოყვარე ახალგაზრდას, რომელმაც არ იცოდა დაღლა. დაძაბული და ხანგრძლივი შრომის შემდეგ, როდესაც დიმიტრი მას დასასვენებლად მოუწოდებდა, ვ. ბეხტერევი შემდეგი სიტყვებით პასუხობდა: „ჩემი მხრიდან რაც ჩემზე არის დამოკიდებული მე ყველაფერს ვაკეთებ, ჩემ მიერ შეთავაზებულს მიიღებს თუ არა ჩემი მეხსიერება, ეს მისი საქმეაო“.

დიმიტრი პატივისცემით იგონებდა თავის აღმზრდელ-პრო-

ფესორებსაც, მათ შორის განსაკუთრებით შესანიშნავ პათოლოგანატომს გრუბერს. დიმიტრი ყველაზე მეტად იყო გატა-



ს. პეტერბურგის სამედიცინო ქირურგიული აკადემია.

ცებული პათოლოგანატომიის მეცნიერებით და ამ დარგში ბრწყინვალე წარმატებებსაც აღწევდა. გულმოდგინე სწავლამ თავისი ნაყოფი გამოიღო და 1878 წელს მან სამხედრო-სამედიცინო აკადემია დაამთავრა. დიმიტრისთან ერთად, იმავე წელს, აღნიშნული აკადემია დაამთავრა ცნობილმა ქართველმა ექიმმა ილია ზურაბის-ძე გოპაძემ. ილია გოპაძის სახით საქართველოს ჰყავდა ტუბერკულოზის საქმის მცოდნე, საუკეთესო სპეციალისტი — ექიმი, რომელმაც დიდი შრომა გასწია ამ დაავადებით შეპყრობილ ავადმყოფთა განკურნებისათვის და კურორტ აბასთუმნის კეთილმოწყობისათვის[1].

ცნობილი მეცნიერი-ექიმი და საზოგადო მოღვაწე

დ. ნაზარიშვილის მიერ პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემიის დამთავრება დაემთხვა იმ დროს, როდესაც რუ-

[1] А. П. Цулукидзе, Врачи-грузины XIX столетия. Грузмедгиз, Тбилиси, 1948 г., გვ. 47 — 48.

ხეთ-თურქეთის ომი წარმოებდა. იგი გაგზავნილ იქნა დუნაის მოქმედ არმიაში. დ. ნაზარიშვილი მუშაობას იწყებს 24-ე ქვეითი დივიზიის ირკუტსკის 39-ე პოლკში, რომელიც ბულგარეთში, ქ. ბურგასში იმყოფებოდა. 1878 წლის 11 ივლისს იგი თავის მეუღლე ტატიანას სწერდა მძიმე სამსახურებრივი მდგომარეობისა და იმ სიძნელეების შესახებ, რომელთა დაძლევა უხდებოდა მას. ამ დროს დიმიტრისთან ერთად ქ. ბურგასში უფროს ექიმად მივლინებულ იქნა მისი ნათესავი ალექსანდრე პეტრეს ძე ნაზარიშვილი. როგორც წლოვანებით უფროსი და დიდი გამოცდილების მქონე სამხედრო ექიმი, იგი დიდ მზრუნველობას იჩენდა ახალგაზრდა დიმიტრის მიმართ. ბულგარეთში მუშაობის დროს დიმიტრი გულდასმით ადევნებდა თვალყურს მალარიით დაავადებას, რომელმაც მასობრივი ხასიათი მიიღო სამხედრო ნაწილებში. ომის დამთავრებამდე დიმიტრიმ ბულგარეთში დაჰყო, აქ მან პარტახტიანი ტიფიც გადაიტანა.

ბულგარეთიდან დაბრუნების შემდეგ დ. ნაზარიშვილი მუშაობას იწყებს ქ. ქუთაისის სამხედრო ლაზარეთში ორდინატორად. მალარიის წინააღმდეგ დიმიტრიმ აქ სპეციალური პრეპარატი დამზადა, რომელიც „ნაზარიშვილის წვეთების“ სახელწოდებით არის ცნობილი. „ნაზარიშვილის წვეთები“ იმ დროისათვის უებარი წამალი გახდა მალარიით შეპყრობილთათვის. ეს პრეპარატი დიდი პოპულარობით სარგებლობდა საქართველოს მოსახლეობაში. დიმიტრი ვერ ურიგდება აქ გამეფებულ სამხედრო-ჩინოვნიკურ რეჟიმს, სამსახურს თავს

დ. ნაზარიშვილი სამხედრო ექიმი.

ანებებს და კერძო ექიმად იწყებს მუშაობას. იგი მთელ თავის შრომასა და ენერგიას საზოგადოების ჯანმრთელობის დაცვისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესების საქმეს ახმარს.

ქუთაისში ჩასვლისთანავე ჯერ კიდევ ახალგაზრდა ექიმმა თავისი დაუშრეტელი ენერგიის, ავადმყოფებისადმი მეტად გულისხმიერი დამოკიდებულებისა და საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიური მონაწილეობის შედეგად ხალხში დიდი ნდობა და პატივისცემა დაიმსახურა. იგი ყველამ შეიყვარა, როგორც კარგი ექიმი და საზოგადო მოღვაწე.

დ. ნაზარიშვილის მუშაობა სადოქტორო დისერტაციაზე

მართალია, დ. ნაზარიშვილი იმ ხანებში უკვე განთქმული ექიმი და ცნობილი საზოგადო მოღვაწე იყო, მაგრამ იგი არ კმაყოფილდებოდა იმ ცოდნით, რომელიც ჰქონდა მიღებული. საექიმო მეცნიერების საფუძვლიანად დაუფლების მიზნით მან ისევ პეტერბურგს მიაშურა და მუშაობა დაიწყო სამხედრო სამედიცინო აკადემიის კერძო პათოლოგიისა და შინაგან სნეულებათა თერაპიის კათედრაზე იმ კლინიკაში, რომელსაც ხელმძღვანელობდა გამოჩენილი ექიმი — თერაპევტი, ბრწყინვალე ლექტორი და ცნობილი საზოგადო მოღვაწე, პროფესორი ვიაჩესლავ აქვსენტის ძე მანასეინი. სტუდენტობის დროს დ. ნაზარიშვილი ისმენდა პროფ. ვ. მანასეინის ლექციებს, იცნობდა მას, როგორც სახელგანთქმულ ექიმსა და მეცნიერს და სწორედ ეს იყო იმის მიზეზი, რომ დ. ნაზარიშვილი მეცნიერული დახელოვნებისათვის მოეწყო ვ. მანასეინის კლინიკაში. მისი ხელმძღვანელობით იგი აქ შეუდგა სადოქტორო დისერტაციის დამუშავებას.

ვინაიდან პროფ. ვ. მანასეინის კლინიკაში მან რამდენიმე წელი დაჰყო, ამისათვის საჭიროდ მიგვაჩნია, მოკლედ მაინც, გავეცნოთ პროფ. ვ. მანასეინის პიროვნებას.

როგორც არსებული წყაროებიდან ჩანს, ვიაჩესლავ აქვსენტის ძე მანასეინი იყო გამოჩენილი მეცნიერი, რომელმაც შიმშილისა და ციებცხელების შესწავლით ბევრი ხარვეზები გამოასწორა და პენიცილინის აღმოჩენამდე 50 წლით ადრე მწვანე ობის ანტიბიოტიკური თვისებები იპოვნა. იგი იყო მკურნალობის დარგში ს. ბოტკინის ფიზიოლოგიურ-ფუნქციური სკო-

ლის მიმართულებისა და ნევრიზმის ჭეშმარიტი მიმდევარი. თვალსაჩინო თერაპევტი, რომელმაც რუს ექიმთა მომდევნო თაობის თერაპიულ აზროვნებაზე დიდი გავლენა მოახდინა. ღრმად დაკვირვებულ კლინიცისტს, თავისი ქცევით ავადმყოფთა მომხიბლავს შეეძლო წარმატებით გამოეყენებინა მათ მიმართ ფიზიოთერაპიული და ფსიქოთერაპიული ზემოქმედების მეთოდები. მეცხრამეტე საუკუნის დასასრულის უდიდესი რუსი ფთიზიატრი, გამოჩენილი პედაგოგი, რომელმაც სამხედრო-სამედიცინო აკადემიის კერძო პათოლოგიისა და თერაპიის კათედრის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა, იგი იყო, რევოლუციამდელ რუსეთში ერთადერთი სამკურნალო დარგის მიმართულების ჟურნალ „ვრაჩის" რედაქტორ-გამომცემელი. ეს ჟურნალი არა მარტო სამეცნიერო-სამედიცინო, არამედ საექიმო-პროფესიონალური და პუბლიცისტური ორგანოც იყო. ვ. მანასეინი ახალგაზრდობის პერიოდში აქტიურ მონაწილეობას იღებდა იატაკქვეშა რევოლუციურ მოძრაობაში, ლეგალური პრესის ფურცლებზე შეუპოვრად იბრძოდა მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. პუბლიცისტიკაში იგი რადიკალური დემოკრატიის პოზიციებზე იდგა. იყო გულადი და პრინციპული ადამიანი, საზოგადოებრივი და საექიმო ეთიკის მკაცრი დარაჯი. ადამიანი წმინდა კრისტალური რეპუტაციით, რომელიც თავის თანამედროვეებში, განსაკუთრებით კი ექიმთა და მწერალთა წრეში, უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა. ასეთია მანასეინის მრავალმხრივი, მაგრამ არასავსებით ამომწურავი დახასიათება[1].

ამრიგად, დიმიტრი ნაზარიშვილი გამოჩენილი რუსი მეცნიერის სერგეი პეტრეს ძე ბოტკინის საუკეთესო მოწაფის, სახელგანთქმული მეცნიერის ვიაჩესლავ აქვსენტის ძე მანასეინის კლინიკაში მოხვდა, სადაც მისი უშუალო ხელმძღვანელობით მეუდგა სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობას. სადოქტორო დისერტაციის თემად ვ. მანასეინმა დიმიტრის მისცა: „ჭლექის ჟურნალობის საუკეთესო საშუალებანი (ჭლექიანთა გაძლიერე-

---

[1] Г. Н. Арсеньев, В. А. Манасеин (жизнь и деятельность), (1841- 1901), Москва, 1951 г., зз. 188, 189.

ბული კვება)". საინტერესოა თუ რატომ, მაინცდამაინც ამ შრომის შესრულება ვ. მანასეინმა დაავალა დიმიტრი ნაზარიშვილს? საქმე ის არის, რომ ახალგაზრდობაში, ჯერ კიდევ სტუდენტობის ხანაში, ვ. მანასეინს მძიმე ოჯახური მდგომარეობის გამო ბევრჯერ შიმშილიც განუცდია და ამ ნიადაგზე ჭლექიც მიუღია, სწორედ ამიტომ იგი ზაფხულობით ბაშკირეთის ველებზე მიდიოდა და უსახსრობის გამო რომელიმე ბაშკირის ჩადახიან ურემში ცხოვრობდა და ამ ურმით იგი ერთი ადგილიდან მეორეში გადადიოდა. ვ. მანასეინი აქ ეწეოდა მკურნალობას ცხენის რძით, დოთი და კუმისით. სხვათა შორის თვით ვ. მანასეინის სადოქტორო დისერტაციის შრომაც, რომელიც მან ს. ბოტკინთან დაამუშავა, ეხებოდა „მასალებს შიმშილის საკითხისათვის". ს. ბოტკინმა აღნიშნულ შრომას საუკეთესო შეფასება მისცა და აღნიშნა, რომ „მანასეინის დისერტაცია შიმშილის შესახებ შეიძლება ამ საკითხში ჩაითვალოს კლასიკურად"-ო. ალბათ, ყოველივე ამას დამოკიდებულება ჰქონდა იმ გარემოებასთან, რომ დ. ნაზარიშვილს ჭლექიანთა გაძლიერებული კვების საკითხის დამუშავება დაევალა. პროფ. ვ. მანასეინის კლინიკაში დიმიტრი 1883 წლიდან 1887 წლამდე მუშაობდა. ამ ხნის განმავლობაში იგი სადოქტორო შრომაზე წყვეტილად, ხანგამოშვებით მუშაობდა, რადგან ზაფხულის პერიოდში სამი თვის მანძილზე საერთოდ საექიმო უმაღლეს სასწავლებლებში ყველა კლინიკა იხურებოდა, პროფესორ-მასწავლებლები მიდიოდნენ დასასვენებლად, კლინიკაში მომუშავე ექიმები კი მიდიოდნენ სხვადასხვა რაიონში სამუშაოდ, განსაკუთრებით კი ერობებში სამუშაოდ, სოფლებში ხალხის დასახმარებლად, მრავალ დაავადებათა და განსაკუთრებით ინფექციურ დაავადებათა წინააღმდეგ საბრძოლველად, პრაქტიკული ცოდნის შესაძენად, საერობო-სამედიცინო საქმის შესასწავლად. იმ დროს ერობა იყო დიდი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, ინსტიტუტი, სადაც თავს იყრიდა ერობის ექიმების ფართო მასები, რუსეთის დემოკრატიული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები. პროფესორი ვ. მანასეინი იყო სწორედ ის ადამიანი, რომელიც მათ ინტერესებს იცავდა და საერობო-პროგრესული მოძრაობის გაფართოება-განმტკიცებისათვის იბრძოდა. ცხადია, რომ იგი

არც თავის მოწაფეებს ააცდენდა საერობო მუშაობას. ამის ერთი მაგალითი იყო ის, რომ 1884—1886-წლებში ზაფხულობით, დ. ნაზარიშვილს ჩვენ ვხედავთ რუსეთის შორეულ მიდამოებში პსკოვის გუბერნიის ხოლმის მაზრაში ანდა ნოვოლადოგის სხვადასხვა თემებში. ერობაში მუშაობის დროს მან ძვირფასი მასალები შეაგროვა, რომელთა საფუძველზე ორი მნიშვნელოვანი შრომა დაწერა: პირველი მათგანი ეხებოდა „ნოვოლადოგის მაზრაში, სახელდობრ გოროდიშჩენსკის, გლაქეევსკის, სოლეცკისა და ტიგოდის თემებში, ადამიანებში ჯილეხის გავრცელებას 1884 წელს“, მეორე კი „ათაშანგის გავრცელებას პსკოვის გუბერნიის ხოლმის მაზრაში“.

ჯილეხის, ანუ ციმბირის წყლულის წინააღმდეგ საბრძოლველად დიმიტრი ნაზარიშვილი სამედიცინო დეპარტამენტის მიერ გაგზავნილ იქნა მაშინ, როდესაც ნოვოლადოგის მიდამოებში აღნუსხული იყო 1480-მდე დაავადებული საქონელი და ამ დაავადებამ პირუტყვიდან ადამიანებში იწყო გავრცელება. ეტლებს აკრძალული ჰქონდათ მიმოსვლა იმ ადგილებში, სადაც საქონელი ჯილეხით იყო დაავადებული, კარანტინის გამო დიმიტრის ფეხით უხდებოდა მოგზაურობა თემებში. „სიცხეში ყოველდღიურად რამდენიმე ათეული ვერსის გავლა გვიხდებოდა ფეხით იმ სოფლებს შორის, სადაც ჯილეხი მძვინვარებდა“-ო,— წერს თავის შრომაში დ. ნაზარიშვილი. „ჩვენ ვცდილობდით გადორკეცებული ენერგიით ყველგან დროულად მიგვესწრო ავადმყოფთათვის და შესაფერისი დახმარება აღმოგვეჩინა“-ო[1], — დასძენს იგი.

ორივე ზემოთ დასახელებულ შრომაში ზუსტად არის გარკვეული ჩატარებული მუშაობის შედეგები და, ცხადია, ეს შრომები საინტერესო იყო არა მარტო იმ დროს, არამედ დღესაც მნიშვნელოვანია, რადგან დაწვრილებით გვაძლევს ყველა იმ ცნობას, რაც ეხებოდა აღნიშნულ დაავადებას, და იმ პირობებს,

---

[1] Д. А. Назаров. Сибирская язва на людях в новоладожском уезде, в волостях; Городищенской, Глажевской, Солецкой и Тиголской в 1884 г. Ж. «Врач» № 41. 1886 г., С-Петербург, вз. 2. из отд. отиска.

რომლებშიც ექიმებს უხდებოდათ მუშაობა. თუ რა მნიშვნელოვანი იყო აღნიშნული გამოკვლევები, ამას ის გარემოებაც მოწმობს, რომ ისინი გამოქვეყნებული იყო პროფესორ მანასეინის მიერ რედაქტირებულ სამედიცინო ჟურნალ „ვრაჩის" ფურცლებზე.

ჟურნალ „ვრაჩში" დ. ნაზარიშვილის მიერ გამოქვეყნებული შრომა ჯილეხის შესახებ პეტიტით ნაბეჭდ 18 გვერდს შეიცავს.

ამრიგად, დ. ნაზარიშვილს სადოქტორო დისერტაციის დაცვამდე, როგორც ვამოცდილსა და მომზადებულ ექიმს, შესრულებული ჰქონდა ორი ზემოხსენებული შრომა.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ დ. ნაზარიშვილი თავისი შემდგომი მოღვაწეობის ასპარეზზე იყო საერობო მედიცინის ერთ-ერთი თვალსაჩინო დამცველი და მოამაგე.

სადოქტორო დისერტაციის თემა „ჭლექიანთა გაძლიერებული კვება" დიმიტრიმ დაასრულა და სამხედრო-სამედიცინო აკადემიის ხაზით დაბეჭდა კიდეც 1887 წელს. ვ. მანასეინი უდიდესი ყურადღებით ადევნებდა თვალყურს დიმიტრის მუშაობას და აღტაცებული იყო მის მიერ სადოქტორო დისერტაციის ბრწყინვალე შესრულებით.

სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობასთან დაკავშირებით დიმიტრი პეტერბურგიდან აი რას სწერს თავის ცოლს ტატიანას: „დღეს ვიყავი მანასეინთან, ვანახე ჩემი შრომა, რის გამოც იგი მოვიდა დიდ აღტაცებაში... შემაქო, მომეფერა და მითხრა, რომ შევუდგე შესწორებასა და ბეჭდვას, ხვალ დილით მივდივარ სამედიცინო დეპარტამენტში სადოქტორო გამოცდების დამთავრების მოწმობის წარსადგენად და შემდეგ ვარდგენ დისერტაციას"[1].

მის მიერ სადოქტორო დისერტაციის დაცვასთან დაკავშირებით გამართულ პაექრობაზე დ. ნაზარიშვილმა პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემიის საბჭოს საჯარო სხდომას 1837 წლის 9 მაისს ვაბედული აზროვნებითა და მეცნიერულად ზედ-

---

[1] ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, დ. ნაზარიშვილის არქივი, 2176/346.

მიწევნითი სიზუსტით დამუშავებული ახალი საინტერესო მასალა წარუდგინა. აკადემიის კედლებში პროფ. მანასეინის პირველხარისხოვან კლინიკაში დამუშავებული დისერტაცია პეტერბურგის ავტორიტეტული სამხედრო-სამედიცინო აკადემიის პროფესორ-მასწავლებელთა თვალში გაცილებით მეტ მნიშვნელობას ღებულობდა და მათში უდიდეს ინტერესს იწვევდა. 33 წლის ახალგაზრდა მეცნიერმა სადოქტორო დისერტაცია ბრწყინვალედ დაიცვა და მიიღო მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი.

დ. ნაზარიშვილს შეეძლო დარჩენილიყო პეტერბურგში, მანასეინის კლინიკაში, მაგრამ იქ დარჩენას დ. ნაზარიშვილმა საქართველოში დაბრუნება არჩია, მან ისევ ქუთაისს მოაშურა და ხელი მიჰყო იმ დიდ ნაყოფიერ შრომას და მოღვაწეობას, რომელსაც სიკვდილამდე ეწეოდა.

ქუთაისში მოღვაწეობის პერიოდი (1887—1927 წწ.)

ქუთაისში დაბრუნების შემდეგ დ. ნაზარიშვილი საექიმო და საზოგადოებრივ მოღვაწეობასთან ერთად მნიშვნელოვან სამეცნიერო მუშაობასაც ეწეოდა. მისი მოღვაწეობის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის პირადი არქივი, რომელიც დაცულია ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში. არქივი შეიცავს მასალებს მისი საქმიანობისა და ახლო ურთიერთობის შესახებ სხვა ცნობილ საზოგადო მოღვაწეებთან: ნიკო ნიკოლაძესთან, გიორგი ზდანოვიჩთან, აკაკი წერეთელთან, გიორგი წერეთელთან, კირილე ლორთქიფანიძესთან, სერგი მესხთან და სხვებთან.

დ. ნაზარიშვილი პირველი ექიმი იყო ჩვენში, რომელიც ხალხს მშობლიურ ენაზე დაელაპარაკა და მისი ტკივილების დაამებას შეეცადა. არ ყოფილა არც ერთი საქმე, საზოგადოებრივი მოღვაწეობის არც ერთი დარგი, რომელთა განხილვასა და გადაწყვეტაში მას მხურვალე მონაწილეობა არ მიეღოს.

1892 წელს დიმიტრიმ ქუთაისში დააარსა პირველი უფასო ამბულატორია ღარიბთათვის, ამ ამბულატორიის გამგედ იგი 25

წლის განმავლობაში უსასყიდლოდ მუშაობდა და იქ მომუშავე ექიმების შემწეობით უფასო საექიმო დახმარებას უწევდა ქ. ქუთაისის და ქუთაისის მაზრის ღარიბ მოსახლეობას. იგი 35 წლის განმავლობაში იყო ქალაქის თვითმმართველობის ხმოსნად და მუდამ მისი მუშაობის გაუმჯობესება-წარმატებაზე ფიქრობდა. 20 წელზე მეტ ხანს იყო ქალაქის თეატრის ექიმად, 15 წელზე მეტი საპატიო მსაჯულად იმსახურა. რამდენიმე წელს წმინდა ნინოს სახ. ქალთა სასწავლებლის მასწავლებლად იყო. მან მხურვალე მონაწილეობა მიიღო სასოფლო-სამეურნეო სკოლის დაარსებაში.

მისი ინიციატივით დაარსდა ქუთაისში დასავლეთ საქართველოს ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოება, რომლის მიზანს შეადგენდა ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვა და ხალხში სამედიცინო მეცნიერების პოპულარიზაცია.

33 წლის განმავლობაში დ. ნაზარიშვილმა უდიდესი შრომა და ენერგია მოახმარა რკინიგზელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეს; სწორედ ამიტომ მან რკინიგზელთა შორის უდიდესი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. აი, როგორ მიმართავენ მას ქუთაისელი რკინიგზელები 45 წლის მოღვაწეობის იუბილეზე 1923 წელს: „ღრმად პატივცემულო დიმიტრი ალექსანდრეს ძევ! დღევანდელ ღირსშესანიშნავ დღეს, თქვენი საექიმო და საზოგადო მოღვაწეობის 45 წლის თავზე, ქუთაისის რკინიგზელთა სახელით, რომელთა შორის თქვენ გაატარეთ რამდენიმე ათეული წლები, აღფრთოვანებით და წრფელის გულით მოგესალმებით.

სრულ 33 წელს თქვენ ატარებდით რკინიგზელი ექიმის მძიმე უღელს.

მრავალფეროვანი და საპასუხისმგებლოა რკინიგზელი ექიმის მოვალეობანი... თქვენ კი, ყოფილი ერობის ექიმი, ზედმეწევნით მომზადებული იყავით ამგვარი მუშაობისათვის... მიუხედავად ყოველგვარი სიძნელისა და დაბრკოლებისა თქვენ არც ერთხელ არ გიღალატნიათ ექიმის წმინდა მოვალეობისათვის და ყოველ წამს მზად იყავით მიგეწოდებინათ ავადმყოფთათვის საექიმო დახმარება და შეგემსუბუქებინათ მათი ხორციელი და არა იშვიათად სულიერი ტკივილებიც...

არა ათი და ასი. არამედ ათასობით თქვენის ხელით სიკვდილის ბრუყალებიდან გამოგლეჯილნი მადლობით იხსენიებენ ექიმ ნაზაროვის სახელს. რკინიგზელთ თავის დღეში არ დაავიწყდებათ ექიმი დ. ა. ნაზაროვი, რომელმაც 33 წელი გაატარა მათ შორის მათი ჭირისა და ლხინის გაზიარებით...

ჩვენ რკინიგზელები, მუდამ ვამაყობთ, რომ ჩვენი ექიმი ნაზაროვი არ კმაყოფილდებოდა მხოლოდ საექიმო ასპარეზზე მოქმედებით, არამედ სიტყვით, თუ კალმით ცდილობდა გაეწია სამსახური მშრომელი ხალხისათვის. რამოდენიმე ათეული წლების განმავლობაში თქვენი საზოგადო ასპარეზზე მრავალფეროვანი მოღვაწეობით... სავსებით დაიმსახურეთ დიდად საპატიო წოდება საზოგადო მოღვაწისა"[1].

დ. ნაზარიშვილის პირადი ინიციატივით ქუთაისში 1890 წ. დაარსდა პირველი საექიმო სამეცნიერო საზოგადოება, რომელიც იმ დროისათვის ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. იმ დროს დასავლეთ საქართველოსა და ქუთაისის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმე მეტად უნუგეშო იყო. ქალაქში ყურადღება არ ექცეოდა სანიტარული პირობების დაცვის საქმეს, არ იყო წყალსადენი, კანალიზაცია, მოსახლეობაში გავრცელდა სხვადასხვა სახის ინფექციური დაავადებები. ავადმყოფები უმთავრესად მკურნალობდნენ კერძო პრაქტიკოს ექიმებთან და ექიმბაშებთან. სწორედ ამ დროს დ. ნაზარიშვილი სათავეში ჩაუდგა ექიმთა სამეცნიერო საზოგადოების შექმნის საქმეს. „1890 წელს ქუთაისში დაარსდა ექიმთა საზოგადოება, რომლის წევრდება დიდი გაჭირვებით და ხვეწნით დავამტკიცებინე მთავრობას პეტერბურგში; ამ საზოგადოებას მეცნიერული ხასიათის გარდა ჰქონდა მიზნად ექიმების შეკავშირება და საერთო ძალით გუბერნიაში განსაკუთრებით სანიტარიის მუშაობის გამართვა"-ო[2], — წერს იგი.

1890 წელი, ჩვენი მედიცინის ისტორიაში მნიშვნელოვანი თარიღი იყო. ამ წელს ქუთაისში დაარსდა პირველი საქალაქო

---

[1] დ. ნაზარიშვილის არქივი, 2176/106.

[2] დ. ნაზარიშვილის არქივი, 2176/284.

საავადმყოფო, რომელმაც ქუთაისისა და მთელი დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმეს უდიდესი სამსახური გაუწია. აღნიშნული საავადმყოფოს დაარსების საქმის ერთ-ერთი ინიციატორი, როგორც ამის შესახებ მეტად დამაჯერებლად და სამართლიანად მიუთითებს პროფესორი ი. ნიკობაძე, ს. ვ. თოფურიასთან ერთად, იყო დ. ა. ნაზარიშვილი.

პროფ. ი. ნიკობაძის აღნიშნულ მოსაზრებას დ. ნაზარიშვილის პირად არქივში დაცული მასალებიც ადასტურებს.

საექიმო მუშაობასთან და საზოგადოებრივ მოღვაწეობასთან ერთად, იგი დროგამოშვებით მნიშვნელოვან საექიმო სამეცნიერო ხასიათის შრომებსაც აქვეყნებდა. ამ ხანებში დ. ნაზარიშვილმა მნიშვნელოვანი სამეცნიერო ნაშრომი შესძინა საექიმო საზოგადოებას. ეს იყო შრომა „შავი ჭირი და მასზე არსებული შეხედულებანი". 90-იან წლებში საქართველოში გავრცელდა ქოლერის ეპიდემია, 1892 წლის ივნისში ეს ავადმყოფობა მოედო ქუთაისის მოსახლეობას. ადგილობრივმა მმართველობამ შექმნა სპეციალური კომისია ექიმებისაგან. ამ კომისიაში დ. ნაზარიშვილიც მონაწილეობდა. ქალაქში სასწრაფოდ გახსნეს დროებითი უფასო ამბულატორია და ქალაქგარეთ მოაწყვეს ბარაკები, სადაც იგზავნებოდა ავადმყოფები. დიმიტრისა და სხვა ექიმების ენერგიული შრომის შედეგად, სექტემბრის თვეში ეპიდემია ჩაქრობილ იქნა. ქოლერის, შავი ჭირის და სხვა ეპიდემიის გამომწვევი მიზეზებისა და მათი საწინააღმდეგო საშუალებების შესახებ დ. ნაზარიშვილი ხშირად გამოდიოდა მოხსენებებით.1897 წლის 21 თებერვალს მან ზემოთ აღნიშნული ნაშრომი მოხსენების სახით წაუკითხა ბათუმის ექიმთა საზოგადოებას, ეს კარგად დასაბუთებული შრომა გამოქვეყნებულია 77-გვერდიანი ბროშურის სახით, სადაც დაწვრილებითაა მოყვანილი შავი ჭირის გავრცელების ისტორია სხვადასხვა ქვეყნებში, მისი ეტიოლოგია, პროფილაქტიკისა და მკურნალობის გზები და მეთოდები.

ლაპარაკობს რა პროფილაქტიკის შესახებ, დ. ნაზარიშვილი თავისი შრომის დასასრულს აღნიშნავს: „შავი ჭირი დაავადებაა, რომლის დროსაც პირადი სიფრთხილით, მეცხიერებითა და ეპიმოცდილებით მიღებული ფაქტებისადმი გონიერი ცოდნის მო-

ძარჯვებით შეიძლება ზოგიერთ შემთხვევაში ამ გადამდებლობისათვის თავის არიდება...

ყველა აქამდე მოცემული ღონისძიებები შავი ჭირის წინააღმდეგ საბრძოლველად დაფუძნებულია ცოტად თუ ბევრად ჰიგიენის მონაცემებზე, რომელმაც უკვე დიდი ხანია რაც ემპირიზმი უარყო და თანდათანობით დაიწყო იმ პროცესების შესწავლა, რომელიც ჩვენს გარემოცვაში ხდება...

უბრალოდ რომ ითქვას, ჰიგიენა სწავლობს ბუნების კანონებს, რომელიც ადამიანის ჯანმრთელობას მართავს იმდენად, რამდენადაც ის გარეშე მიზეზზეა დამოკიდებული"[1].

ქოლერის ეპიდემიის ჩაქრობის შემდეგ, მის საწინააღმდეგოდ შექმნილი დროებითი ამბულატორია უნდა გაუქმებულიყო, მაგრამ დ. ნაზარიშვილმა მიიღო გადამჭრელი ზომები, შეკრიბა ექიმები და დასვა საკითხი დროებითი ამბულატორიის მუდმივ უფასო სამკურნალო დაწესებულებად გადაკეთების შესახებ. იგი დაჟინებით მოითხოვდა, რომ ეს უფასო ამბულატორია დაარსებულიყო ქუთაისისა და დასავლეთ საქართველოს უღარიბესი მოსახლეობის დასახმარებლად. 1892 წლის სექტემბერში დიმიტრის ინიციატივით გაიხსნა ქუთაისის ქალაქის უფასო სამკურნალო, რომლის გამგედ დანიშნულ იქნა თვით დ. ნაზარიშვილი. იგი 25 წლის განმავლობაში უსასყიდლოდ ხელმძღვანელობდა ხალხისათვის ამ

— დ. ნაზარიშვილის მეუღლე.

[1] Д. Назаров, «Чума и существующие взгляды на нее», Протокол заседания общества врачей в городе Батуме № 4, 21 февраля 1897 г., Батум, 1897, გვ. 67.

მეტად საჭირო საქმეს. „25 წელი იყო ქუთაისის ღარიბთა უფასო ამბულატორიის გამგედ. ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ გააკეთა მან ქალაქის უღარიბესი მოსახლეობისათვის. ამ 25 წლის მანძილზე იქ მიღებულ იქნა 200 ათასი ავადმყოფი, რომელთაც აღმოეჩინათ როგორც თერაპიული, ისე ქირურგიული საექიმო დახმარება. თვით დიმიტრი ქირურგიაში მუშაობდა. ბევრნაირ საშუალო ოპერაციებს აკეთებდა. დროს არ ზოგავდა, რომ დახმარებოდა ხალხს. დ. ნაზაროვი ხანდისხან ამბულატორიის სასარგებლოდ წარმოდგენებს მართავდა, იწვევდა თბილისიდან მაიკო და ვასო აბაშიძეებს. აგრეთვე ჩვენს საყვარელ მსახიობს ლადო მესხიშვილსა და სხვებს. მაშინ თეატრი ქალაქის ცენტრალურ ბაღში იყო. მე ჩამაჯენდა სალაროში. ასე ამრიგად, ხშირად ვდგამდით წარმოდგენებს ჩვენი ამბულატორიის სასარგებლოდ. ყოველ ხარჯს გარდა 200 მანეთი გვრჩებოდა. იმ დროს ეს კარგი შემოსავალი იყო. ამით ჩვენ ვიძენდით საექიმო ხელსაწყოებს და მედიკამენტებს“.[1] — წერს თავის მოგონებაში სპირიდონ ბოლქვაძე.

დ. ნაზარიშვილი — წყალტუბოს მინერალური წყლების პოპულარიზატორი და კურორტ წყალტუბოს დაარსების ინიციატორი

დ. ნაზარიშვილს მხედველობიდან არ გამოპარვია კურორტი წყალტუბო, იგი ჭეშმარიტად პირველი თავდადებული მზრუნველია წყალტუბოს სამკურნალო წყლების სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხის პოპულარიზაციის საქმეში. მისი ფართო მოღვაწეობა იმ საზოგადოებრივ-სამეცნიერო და საექიმო-პრაქტიკულ მუშაობაში გამოიხატება, რომელიც დაკავშირებულია მის მიერ წყალტუბოს მინერალური წყლების შესწავლასა და ამ წყლების საერთო სახალხო მნიშვნელობის პოპულარიზაციის საქმესთან. დ. ნაზარიშვილი მთელი გულითა და სულით ჩაწვდა წყალტუბოს კურორტის კეთილმოწყობისა და მისი განსაზოგადოების საქმეს. ამ

[1] დ. ნაზარიშვილის არქივი, 2176/88.

საკითხზე იგი მოხსენებებით გამოდიოდა ექიმთა ყრილობებზე და ფართო საზოგადოებაში 1915—1917 წლებში.

დ. ნაზარიშვილი თავის ვაჟებთან ლეონიდე და კალერიანესთან.

როგორც ცნობილია, ქუთაისის სამედიცინო საზოგადოების დაჟინებითი მოთხოვნით, წყალტუბოს მინერალური წყლების მეცნიერულად შესწავლის მიზნით თბილისიდან წყალტუბოში მივლინებულ იქნა კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ ქიმიკოსები, გეოლოგები, ექიმები და ინჟინრები.

1913 წელს რ. დ. კუპცისმა შეისწავლა აღნიშნული წყლების ქიმიური შემადგენლობა და აღმოაჩინა მათში რადიუმის არსებობა. 1915 წელს პეტროგრადში მოწვეულ სამკურნალო ადგილების გამაუმჯობესებელ სრულიად რუსეთის ექიმთა ყრილობაზე იგი გამოვიდა მოხსენებით „წყალტუბოს მინერალური წყლები და მათი სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივი მნიშვნელობა“, რომელიც ცალკე შრომად გამოიცა ქ. ქუთაისში 1917

წელს. იგი 81 გვერდზე დაბეჭდილ შესანიშნავ მეცნიერულ ნარკვევს წარმოადგენს. ამ შრომაში იგი წერს: „რასაკვირველია, რუსეთი უზარმაზარია და ადგილები, რომლებიც მდიდარია ნაირ-ნაირი მინერალური წყლებით და გამოსადეგია კურორტების მოსაწყობად, ცოტა არ მოიძებნება, მაგრამ მათ შორის წყალტუბოს მინერალურ წყლებს ერთი პირველი ადგილთაგანი უკავია.

ამ წყლების სასწაულთმოქმედი ძალა მათში არსებულ რადიუმში გამოიხატება, რომლის ნიშნები ჯერ კიდევ 1905 წელს ოდესის უნივერსიტეტის პროფესორმა ვ. ი. პეტრიაშვილმა აღმოაჩინა“-ო[1]. მოხსენების დასკვნით ნაწილში დ. ნაზარიშვილი წერს: „წყალტუბოს წყაროების დატოვება დღევანდელ მდგომარეობაში იქნებოდა დანაშაული ხალხისა და სახელმწიფოს წინაშე, განსაკუთრებით კი ჩვენი სახელგანთქმული მეომრების წინაშე, რომელთაც შეეძლოთ მიეღოთ საკირო მკურნალობა ამ წყლებით“[2]. იგი მოითხოვდა ამ წყაროების ქუთაისის საქალაქო მმართველობისათვის გადაცემას, რომელსაც დაუყოვნებლივ უნდა შეედგინა კურორტის კეთილმოწყობის პროექტი.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ პეტროგრადში ყრილობაზე წასვლის წინ დ. ნაზარიშვილმა წინასწარ მოიწვია წყალტუბოს მინერალური წყლების მფლობელი იოსელიანები. მათ ამ წყლების იჯარის ფასად მოითხოვეს 20 000 მ. ყოველწლიურად, ხოლო გაყიდვის შემთხვევაში კი 7,5 მილიონი მანეთი.

პეტროგრადში ყრილობაზე დ. ნაზარიშვილის მოხსენების გამო მიღებულ იქნა შემდეგი დადგენილება: „წყალტუბოს მინერალური წყლები თავისი ქიმიური შემადგენლობით, რადიოლოგიური მოქმედებით, სითბოთი და სიუხვით, რომელიც უდრის თითქმის ორმილიონ ვედრა წყალს ოცდაოთხ საათში,

---

[1] Д. А. Назаров, «Цхалтубские минеральные источники и государственно-общественное их значение», доклад, Кутаиси, 1917 г., გვ. 2.

[2] დ. ნაზაროვი „წყალტუბოს სამკურნალო აბანოები“, გაზ. „ჩვენი ქვეყანა“, 1917 წ., № 103.

საუკეთესო სამკურნალო წყლებია, მას აქვს საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა და აუცილებლად უნდა მიექცეს დიდი ყურადღება".



წყალტუბო 1921 წლამდე.

ეს დადგენილება დ. ნაზარიშვილს საფუძველს აძლევდა წყალტუბოს საკითხის შემდგომი წარმატებითი გადაჭრისათვის. პირველ რიგში საჭირო იყო წყალტუბოს მიდამოების მიწა-წყლის განსაზოგადოება და აქ საკურორტო ობიექტების, შენობებისა და გზების მშენებლობა, ერთი სიტყვით, ამ ადგილებში კურორტის გაშენებისათვის ფულადი სახსრების დაშვება.

ამ დადგენილებით დაიმედებული დიმიტრი უდიდეს მუშაობას ატარებს ქუთაისში, თბილისსა და პეტროგრადში. უნდა აღინიშნოს, რომ ამ საქმის მოგვარებას დიმიტრი ფიქრობდა ქართველების დიდი მეგობრის, ცნობილი დასტაქრისა და მეცნიერის პროფესორ სერგეი პეტრეს ძე ფეოდოროვის მეშვეობით.



პეტროგრადის სამხედრო სამედიცინო აკადემიის
პროფ. ს. პ. ფეოდოროვი.

პეტროგრადში ექიმთა ყრილობაზე მივლინებული დ. ნაზარიშვილი წყალტუბოს საკითხებთან დაკავშირებით 1915 წლის 11 იანვარს თავის ოჯახს სწერს: „... დღეს ყრილობა წყვეტს მუშაობას და შემდეგ იწყება უკვე ყველაზე მეტად სერიოზული საქმე სხვადასხვა სამინისტროებში. გუშინ ს. ფეოდოროვმა მთხოვა, რომ მის გარეშე ეს საქმე არ დამეწყო. ერთი სიტყვით იგი უდიდეს მონაწილეობას ღებულობს ამ საქმეში და, ვფიქრობ, მივაღწევ. რომ მოგვცენ ფული წყალ-

ტუბოში ათასი კაცისათვის დროებითი ბარაკების მოსაწყობად და გზების გასაყვანად"[1].

პროფ. ს. პ. ფეოდოროვთან დ. ნაზარიშვილის ახლო ურთიერთობისა და წყალტუბოს საკითხის მოგვარების რთული, მაგრამ უაღრესად პერსპექტიული სურათის წარმოსადგენად მეტად დამახასიათებელია მისი კიდევ ერთი პირადი წერილი ოჯახისადმი, რომელიც 1915 წლის 17 იანვარს არის გამოგზავნილი. აქ იგი წერს: „დღეს მე ვიყავი პროფ. ს. ფეოდოროვის კლინიკაში... დიდ ოპერაციაზე. მან მე დამათვალიერებინა კლინიკა, ექიმების, სტუდენტების, ექთანების და სხვების თანხლებით. ალბათ ვინც ნე არ მიცნობდა, შეეძლოთ ეფიქრათ, რომ იგი (ს. ფეოდოროვი. ა. გ.) დამყვება მე—მინისტრის ტოლ პიროვნებას და ყველაფრის შესახებ უნდა მომახსენოს. მაჩვენა მისი აუდიტორია, შესახვევი, საოპერაციო, სასტერილიზაციო, მუზეუმი. აქედან მან თავისი მანქანით წამიყვანა გინეკოლოგიურ ინსტიტუტში, რომლის ქირურგიულ განყოფილებასაც თვით განაგებს... აქ მუშაობენ ყველა საუკეთესო პროფესორები, რომლებიც გამაცნო. მათ ჩემდამი უდიდესი თავაზიანობა გამოიჩინეს, დამათვალიერებინეს თავიანთი განყოფილებები და მაძლევდნენ ახსნა-განმარტებას როგორც მეცნიერების რომელიმე „კორიფეს", რომელიც მოელინებულია ზღვის გაღმიდან. საერთოდ უნდა ითქვას, რომ პროფ. ს. ფეოდოროვი, რომელსაც მე ვუწოდებ მეორე ქუთაისელს[2], უდიდეს მზრუნველობას იჩენს ჩვენს საქმეზე. მატარებს ხელის გულით. როგორც დიდად სათაყვანებელ საგანს. დათვალიერების შემდეგ ს. ფეოდოროვმა დამპატიჟა საუზმეზე... ოთხი დღის უკან მან მიმიპატიჟა... რესტორან „მედვედში", სადაც შეკრებილნი იყვნენ, როგორც მან მითხრა, ჩემი საქმისათვის — წყალტუბოს საკითხთან დაკავშირებით მეტად საჭირო ხალხი. იყო დაახლოებით ორმოცი კაცი; მან შემიყვანა იმ საზოგადოებაში, სადაც

---

[1] წერილი ოჯახისადმი, დ. ნაზარიშვილის პირადი არქივი, 2176/344.

[2] პროფ. ს. პ. ფეოდოროვის ძმა მუშაობდა ქუთაისში სასამართლოს თავმჯდომარედ. ამიტომ დ. ნაზარიშვილი პროფ. ს. ფეოდოროვს უწოდებდა მეორე ქუთაისელს.

იყვნენ მინისტრების მოადგილეები, აკადემიკოსები და ა. შ. 14 იანვარს მე დავპატიჟე ს. ფეოდოროვი თავისი ასისტენტებით, პლიუს დიმიტრი ზაქარიას ძე ჭიაბროვი, ანდრო ერისთავი, ჩემი ძმა ვასილი და სრულიად რუსეთის რკინიგზის მთავარი ექიმი — უსპენსკი... ს. ფეოდოროვის მანქანით მე წავედი ვასილიევსკის კუნძულზე ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრის მოადგილე კონოვალოვთან, რომელთანაც 4 საათზე მქონდა დანიშნული შეხვედრა.

კონოვალოვმა მიმიღო მეტად თავაზიანად და მთელი ორი საათი საუბრობდა ჩემთან ქუთაისისა და წყალტუბოს შესახებ. ძებნიდა საშუალებებს, თუ როგორ უნდა დაგვიწყო წყალტუბოს ექსპლოატაცია და ა. შ. მე დავიწყე იქედან, რომ მივედი მასთან პირდაპირ ქუჩიდან და მან უნდა მიმიღოს, მე არავითარი რწმუნება არა მაქვს წყალტუბოს შესახებ, მხოლოდ გული შემტკივა, როცა ვხედავ, რომ ასეთი საუცხოო წყაროები ისეთი ხალხის ხელშია, რომლებსაც თვით არაფერი არ შეუძლიათ გააკეთონ და სხვებსაც არ აძლევენ საშუალებებს ისარგებლონ მით.

წამომიყენა მთელი რიგი გეგმებისა...

შემპირდა ყოველგვარი დახმარება... ორი დღის შემდეგ შეხვედრა მაქვს სხვებთან"[1].

ბოლოს და ბოლოს პროფ. ს. პ. ფეოდოროვისა და სხვა გავლენიანი პირების დახმარებით დ. ნაზარიშვილმა მიაღწია იმას, რომ პრინც ოლდენბურგსკის განკარგულებით წყალტუბოს კეთილმოწყობისათვის შედგენილ იქნა ხარჯთაღრიცხვა 775 000 მანეთის რაოდენობით. ამ თანხით წყალტუბოში უნდა აგებულიყო სხვადასხვა საჭირო ობიექტები — საბაზანო შენობები, გაყვანილიყო გზა წყალტუბოსა და ქუთაისს შორის და ა.შ.[2]

მაგრამ ყოველივე ამ კეთილშობილური საქმის ცხოვრებაში განხორციელება იმ დროის პირობებში შეუძლებელი გახდა.

---

[1] წერილი ოჯახისადმი. დ. ნაზარიშვილის პირადი არქივი, 2176/345.

[2] Д. В. Джавахишвили, «К истории развития курорта Цхалтубо», грузмедгиз, Тбилиси, 1954., გვ. 24.

მიუხედავად ამისა. დ. ნაზარიშვილი მაინც იმედს არ კარგავდა და სჯეროდა რომ წყალტუბოს საკითხი მომავალში გადაწყდებოდა დადებითად და ხალხის სასარგებლოდ.

კავკასიის სამკურნალო ადგილების მოწყობისა და გაუმჯობესების პირველმა ყრილობამ. რომელიც მოწვეულ იქნა დროებითი მთავრობის ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტის მიერ



კურორტ წყალტუბოს ერთ-ერთი სანატორიუმი დღეს.

ქ. თბილისში 1917 წლის მაისში. მოისმინა დ. ნაზარიშვილის სამი მოხსენება წყალტუბოს წყლების მნიშვნელობისა და მისი კურორტად კეთილმოწყობის შესახებ. მაგრამ ამ ყრილობაზე წყალტუბოს შესახებ მიღებული დადგენილება მხოლოდ ქაღალდზე დარჩა. როგორც თვითმპყრობელობის, ისე საქართველოში მენშევიკების ბატონობის დროს წყალტუბოს კეთილმოწყობისათვის არავინ არ ზრუნავდა. ქართველი ხალხის სურვილი. რომ „ეს ბუნების ნაბოძვარი სიმდიდრე ექციათ ერის სიმდიდრედ" აღსრულდა საქართველოში მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, და წყალტუბო გადაიქცა ჩვენი დიდი ქვეყნის ხალხთა ჯანმრთელობის კერად--- უშესანიშნავეს, სახელგანთქმულ კურორტად. სწორედ ამიტომ

დ. ნაზარიშვილის სახელი დაკავშირებულია კურორტ წყალტუბოს აღორძინების ისტორიასთან და მას ჩვენი ქვეყნის მშრომელი ხალხი მუდამ უსაზღვრო სიყვარულითა და პატივისცემით მოიგონებს.

*

* *

დასავლეთ საქართველოს ექიმთა ცხოვრებაში მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ექიმთა კავშირის შექმნა, რომელიც დ. ნაზარიშვილის მზრუნველობით და შრომით განხორციელდა 1917 წლის მაისში. ამ კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარედ თვითონ იქნა არჩეული. კავშირს ჰქონდა მტკიცე წესდება, აქვე არსებობდა ურთიერთდამხმარე სალარო. ექიმთა კავშირი განაგებდა საექიმო და სანიტარულ საქმეს ქუთაისის გუბერნიაში. ექიმთა კავშირი ანხორციელებდა თავის წევრებზე ფულად დახმარებას, ხშირი იყო შემთხვევა შავი ჭირით დაღუპულთა ოჯახის წევრებზე დახმარებისა.

კავშირის პრეზიდიუმი სისტემატურად იწვევდა ექიმთა საერთო-საგუბერნიო კრებებს, იხილავდნენ საექიმო და სანიტარული მომსახურეობის ღონისძიებებს, კავშირის კრებებზე ხშირად ირჩეოდა კავშირის წევრთა საყოფაცხოვრებო-ორგანიზაციული საკითხები. ექიმთა კავშირთან არსებობდა სამეცნიერო სექცია, სადაც სისტემატურად იკითხებოდა ლექცია-მოხსენებები.

კავშირის საგუბერნიო კრებებზე წარმოდგენილ პერიოდულ და წლიურ საანგარიშო მოხსენებებში და პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებულ კორესპონდენციებში იგი გაბედულად გამოდიოდა თავისი ახალი პროექტებით გუბერნიაში და საერთოდ საქართველოში საექიმო-სანიტარული საქმის ახლად მოწყობის შესახებ. ჯანმრთელობის დაცვის საქმის მთავარ ფიგურად მას ექიმი მიაჩნდა და ამიტომაც მას უდიდეს მოთხოვნებს უყენებდა, „თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ ხალხისათვის ექიმი დიდად საჭირო პირია; ის არის მისი მესაიდუმლე, მისი მასწავლებელი და ყოველივე გაჭირვების დროს მისი დამხმარე

პირი... ექიმი ის არის, ვისაც ხალხის ნდობა დაუმსახურებია, ვისაც ხალხი იცნობს არა მარტო როგორც ექიმს, სპეციალისტს, არამედ როგორც ადამიანსაც. ექიმის მოვალეობა ძლიერ მძიმეა და ხალხის ცხოვრებაში დიდმნიშვნელოვანი. ის უნდა იყოს სინდისის პატრონი და ყოველი მხრივ პატიოსანი"[1].

როგორც თვითმპყრობელური მთავრობის დროს, აგრეთვე 1917 წლის რევოლუციის შემდეგ იგი თავგამოდებით იბრძოდა საქართველოში საექიმო სანიტარული საქმის გარდაქმნა-გაუმჯობესებისათვის. 1918 წლის ივლისში მან თავის მოხსენებაში ქუთაისის გუბერნიის ექიმთა კავშირის წევრთა საზოგადო კრებას გააცნო ახალი პროექტი საქართველოში საექიმო და სანიტარული საქმის რეორგანიზაციის შესახებ. კამათისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კრებამ მიიღო მის მიერ შედგენილი შემდეგი გადაწყვეტილება.

1) კრება თვლის ფრიად საჭიროდ, რომ ამ დარგში (საექიმო და სანიტარულ დარგში ა. გ.) ახლავე მოხდეს სრული რეორგანიზაცია.

2) საჭიროა, რომ მოეწყოს უბნებში (მცირედ ერთეულებში), მაზრებში და ქალაქებში სანიტარული საბჭოები.

3) თვითეული ცალ-ცალკე და ყველა ერთად ემსახურება ხალხის ჯანმრთელობას და საერთოდ მისი დღეგრძელობის საქმეს.

4) უბნის სანიტარული საბჭოს მოვალეობაა: თვალყური ადევნოს უბნებში ჯანმრთელობის საქმეს, ებრძოლოს გადამდებ სნეულებას და ცდილობდეს ცხოვრებაში გაატაროს ის ზომები, რომელნიც უბნის, მაზრისა და ქალაქების საბჭოების მიერ იქნება გამომუშავებული.

5) უბნის საბჭოს შემადგენლობაა: უბნის ექიმი, ერთი მასწავლებელი, ერთი აგრონომი, ერთი ფარმაცევტი, ერთი საშუალო სამედიცინო პერსონალისა და ერობის ორი წარმომადგენელი. უბანშივეა ცალკე საავადმყოფოს საბჭო, რომელსაც ევალება საავადმყოფოს სამეურნეო საქმის გაძღოლა და წარმოება. წმინდა მკურნალობის საქმეში ექიმი დამოუკიდე-

---

1 დ. ნაზარიშვილის არქივი, 2176/193.

ბელია. სამკურნალო საბჭოს შემადგენლობაა: ექიმი ერთი, საშუალო-სამედიცინი პერსონალის წარმომადგენელი ერთი, დაბალ მოსამსახურეთა წარმომადგენელი ერთი და ერობის წარმომადგენელი ერთი.

6) მაზრის სანიტარული საბჭო; მისი ფუნქციები იგივეა როგორც უბნისა, მხოლოდ ფართო მასშტაბით. საბჭოს შემადგენლობა: ერთი ექიმი საავადმყოფოს ან ერთი ექიმი უბნის საავადმყოფოსაგან, ექიმი ეპიდემიოლოგი, ერთი სასკოლო ექიმი, ერთი ინჟინერი ან ტექნიკი, აგრონომი, ბეითალი, ფარმაცევტი, მასწავლებელი, ქალაქის ერთი და ერობის სამი წარმომადგენელი.

7) სამაზრო საავადმყოფოს საბჭო: მისი ფუნქციები იგივეა, რაც უბნის საავადმყოფოს საბჭოსი. მისი შემადგენლობაა: ორი ექიმი, საშუალო საექიმო პერსონალიდან ერთი, დაბალ მოსამსახურეთაგან ერთი და ერობიდან ორი წარმომადგენელი.

8) ქალაქის თვითმართველობის სანიტარული საბჭოები შედგებიან უბნისა და მაზრის — წარმომადგენელთაგან და მათი რაოდენობა საბჭოებში დამოკიდებულია ქალაქის მცხოვრებთა რაოდენობაზე.

9) სანიტარული საბჭოების ფუნქციები. იმ მაშტაბის მიხედვით რომლითაც ისინი აწარმოებენ საქმეებს, ყველასათვის ერთნაირია: მათ თავიანთ რაიონებში ევალებათ აწარმოონ: ა) ქორწინების, დაბადების, ავადმყოფობის, სიკვდილიანობის და სხვ. სტატისტიკა, ბ) ჩვენი ქვეყნის შესწავლა (გეოგრაფია, მეტეოროლოგია), გადამდები სნეულებანი და მათთან ბრძოლა, საცხოვრებელი ბინების ტიპის გაუმჯობესება და მათი ჰიგიენა, სასკოლო, სამხედრო, საქარხნო-საფაბრიკო ჰიგიენა, და სხვ., გ) კურორტების შესწავლა და მათი განვითარების ხელის შეწყობა, სანიტარული თვალსაზრისით ტყეების დაცვა-მფარველობა, მინერალური წყლების შესწავლა და ჭაობების დაშრობა, დ) ჭლექთან, მალარიასთან, ათაშანგ-ვენერულ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლა, ე) სურსათ-სანოვაგის ხარისხისათვის თვალყურის დევნება და მათი გამოკვლევები, ვ) რადიუსების შემოკლებით საექიმო რაიონების გამრავლება და

საავადმყოფოების გაფართოება, ზ) ხალხში ჰიგიენური ცნობების გასავრცელებლად საჭირო ლექციების მოწყობა, საექიმო პერსონალის დასვენების მოწყობა და სხვა მრავალი.

10) ყოველივე ეს შეადგენს იმ მასალას, რომლის საშუალებით მთავარი ცენტრალური საექიმო სანიტარული საბჭო გამოიმუშავებს სახელმძღვანელო მითითებებს, რომლის მიხედვით თითოეულმა საბჭომ უნდა აწარმოოს ჯანმრთელობის საქმე თავის რაიონში.

11) ყველა საბჭო წელიწადში ერთხელ ირჩევს თავის წარმომადგენლებს საზოგადო კრებაზე გასაგზავნად, რომელიც უნდა მოხდეს მთავრობის დახმარებით ქ. თბილისში. ამ კრებამ უნდა აირჩიოს მთავარი გამგეობა სამი წლის ვადით და დაავალოს ყოველივე საექიმო და სასანიტარო საქმეების ხელმძღვანელობა რესპუბლიკაში.

12) გამგეობა რესპუბლიკაში ავტონომიურია და მისი თავმჯდომარე (ექიმი) შედის მინისტრთა საბჭოში გადამწყვეტი ხმით, ყოველ საექიმო და სასანიტარო საქმის გადაწყვეტისა და დაკანონების დროს.

13) გამგეობის შემადგენლობაში შედიან: თავმჯდომარე—ექიმი, წევრნი: სამსჯავროს ექიმთა ერთი წარმომადგენელი, ერთი სტატისტიკის საქმისა და ეპიდემიებთან ბრძოლის ხელმძღვანელი, ერთი საავადმყოფოების მეთვალყურე, ერთი სამხედრო ექიმი, ერთი ფარმაცევტი, ერთი ბეიბალი, ერთი უნივერსიტეტის საექიმო განყოფილებისა და ერთი გაერთიანებულ ექიმთა კავშირის წარმომადგენელი.

14) ყველა მათგანს ეძლევა შესაფერი ჯამაგირი და კანცელარიის მოსაწყობი ფული. გამგეობის ყველა წევრი უნდა იქნეს არჩეული საზოგადო კრებაზე სამი წლით.

15) ცხადია, რომ უმაღლესი ორგანო სანიტარულ საექიმო საქმეებისა რესპუბლიკაში არის სანიტარული საბჭოების წარმომადგენლების საზოგადო კრება, რომელიც ყოველ წლივ იკრიბება ქ. თბილისში და ადასტურებს მის მიერ არჩეული ცენტრალური გამგეობის მოქმედებას"[1].

---

[1] დ. ნაზარიშვილის პირადი არქივი, 2176/348.

დასავლეთ საქართველოს ექიმთა კავშირი ძლიერ და მეტად ავტორიტეტული ორგანიზაცია გახდა. იგი მზრუნველობდა როგორც ხალხის ჯანმრთელობის დაცვის, აგრეთვე გუბერნიის საექიმო პერსონალის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საქმეს. ამ მხრივ მეტად დამახასიათებელია დ. ნაზარიშვილის როგორც ამ კავშირის თავმჯდომარის დეპეშა საქართველოს მაშინდელი მთავრობისადმი: „ეროვნული საბჭოს თავმჯდომარეს, პირი მთავრობის თავმჯდომარეს, შინაგან საქმეთა მინისტრს, სამკურნალო ნაწილის გამგეს.“

„დასავლეთ საქართველოს ექიმთა კავშირის საგანგებო კრებამ, გაითვალისწინა რა სასოფლო სამკურნალოების და საექიმო პერსონალის უნუგეშო მდგომარეობა, დაადგინა მოგმართოთ თქვენ. რათა გასცეთ სათანადო განკარგულება, რომ საჩქაროდ იქნეს განხილული წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვა, შეტანილ იქნეს იქ ცვლილებები თანამედროვე მოთხოვნილების მიხედვით, აგრეთვე დაუყოვნებლივ იქნას გაცემული საჭირო წამლები და ინსტრუმენტები სოფლის საავადმყოფოებზე, წინააღმდეგ შემთხვევაში საექიმო პერსონალი იძულებული იქნება მიატოვონ სამკურნალოები რათა გადაირჩინონ თავი ხალხის უკმაყოფილებისაგან“[1].

დ. ნაზარიშვილი უდიდესი ინტერესით ადევნებდა თვალყურს მალარიის გავრცელებას დასავლეთ საქართველოში; ამ დაავადების წინააღმდეგ იგი უდიდეს მუშაობას ეწეოდა. 1924 წელს თბილისში მოწვეულ საქართველოს ექიმთა ყრილობაზე მან ამ საკითხზე მეტად საინტერესო მოხსენება წარადგინა: „სარწყავი არხები და მათი გავლენა მალარიის გავრცელებაზე ქუთაისის მაზრაში“.

აღნიშნულ მოხსენებაში დიმიტრი ამტკიცებდა, რომ არხების გაყვანით გამოწვეული დაჭაობიანება ხელს უწყობს მალარიის გავრცელებას დასავლეთ საქართველოში, ექიმთა ყრილობას მიუღია დადგენილება, რომ სარწყავი არხების გაყვანა მოხდეს სამედიცინო ორგანოებთან შეთანხმებით.

---

1 დ. ნაზარიშვილის არქივი, 2176/189.

დ. ნაზარიშვილისა და ვ. ლორთქიფანიძის ინიციატივით დაარსდა ქუთაისში წითელი ჯვრის სამალარიო დისპანსერი. დიმიტრი საკმაო ხანს განაგებდა აღნიშნულ დისპანსერს, მან ამ დაწესებულებას ძალიან დიდი ავტორიტეტი და სახელი მოუხვეჭა. პირად არქივში დაცულია მის მიერ შედგენილი წლიური ანგარიშები, მოხსენებები და მეცნიერული შრომები სამალარიო დისპანსერის მუშაობისა და მალარიის დაავადებაზე მეცნიერული დაკვირვების შედეგების შესახებ. თავის ნარკვევში „ჩემი დაკვირვებანი მალარიის შესახებ" იგი საკმაოდ ვრცლად მოგვითხრობს მის მიერ მოშხაფებული მალარიის საწინააღმდეგო ახალი პრეპარატის „ნაზაროვის წვეთების" შემადგენლობასა და მის სამკურნალო მნიშვნელობაზე.

„ჩემი დაკვირვებით მალარია არა თუ მცირდება ჩვენ ქვეყანაში, არამედ თანდათანობით იზრდება, ღებულობს ეპიდემიურ ხასიათს, უმზადებს მკვიდრ მცხოვრებლებს უდროოდ მოსპობას. ამ მხრით იგი წარმოადგენს დიდ საშიშროებას ჩვენი ხალხის ჯანმრთელობისათვის. აქედან ცხადია, რომ ჩვენ გვევალება ამ უცნაურ სენთან ბრძოლა არა მარტო წამლებით, არამედ იმ სახელმწიფო საშუალებებით, რომელთაც შეუძლია ამ სენის მოსპობა საყოველთაოდ-ო[1].

ქუთაისის სამალარიო დისპანსერი დასავლეთ საქართველოში მეტად პოპულარული გახდა. ავადმყოფები იმედის თვალით უყურებდნენ ამ დაწესებულებას. ქუთაისის სამალარიო დისპანსერის მუშაობაზე გაზეთ „მუშას" ერთ-ერთი კორესპონდენტი — „პაციენტი" წერდა: „ამ მხრივ აღსანიშნავია... საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების მიერ მოწყობილი სამალარიო დისპანსერი..., რომელიც უფასოდ, უსასყიდლოდ ეწევა დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან მოსულ მალარიით დაავადებულთა ექიმობას...

— „ეს რა ბედნიერება მოგვივლინა ღმერთმა" — ხშირად გაიგონებთ დისპანსერის შესახებ საქართველოს შორეული სოფლებიდან მოსული გლეხებისაგან...

---

[1] დ. ნაზარიშვილის არქივი, 2176/198.

ხსენებული დისპანსერის სათავეში ისეთ გამოცდილ ექიმთა ყოფნა, როგორიცაა სახელოვანი დ. ნაზაროვი და ვ. ლორთქიფანიძე, იშვიათის მუყაითობით შერჩეული მუშა-მოსამსახურეთა შტატი და წითელი ჯვრის ქუთაისის განყოფილების საქმიანობა—ყველაფერი ეს თავდებია, რომ ხსენებული სასარგებლო საქმე კვლავ მეტად გაფართოვდება, განვითარდება და მით დაუფასებელ ღვაწლსა და სამსახურს გაუწევს დასავლეთ საქართველოს მუშებსა და მშრომელ გლეხკაცობას"-ო[1].

*

* *

დ. ა. ნაზარიშვილს კარგად ჰქონდა შეგნებული, რომ ექიმი არ შეიძლება შემოიფარგლოს თავისი ვიწრო სპეციალობით, არამედ ექიმი უნდა იყოს აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწე. და, იგი აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ცდილობდა რომ სარგებლობა მოეტანა მშრომელი ხალხისათვის.

35 წლის განმავლობაში დიმიტრის ირჩევდნენ ქალაქის თვითმმართველობის ხმოსნად, სადაც იგი სასკოლო და სანიტარული კომისიის თავმჯდომარე იყო. თვითმმართველობაში იგი ენერგიულად იბრძოდა ქალაქის კეთილმოწყობისა და მისი მცხოვრებლების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

ქალაქის ქუჩების მოწყობა და გამწვანება, სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის დაცვა, სკოლებისა და კულტურულ დაწესებულებათა მუშაობის გაჯანსაღება, ქალაქში წყალსადენისა და კანალიზაციის მოწყობა, — ყველა ეს საკითხები თვითმმართველობაში დ. ნაზარიშვილის საზრუნავ საგანს წარმოადგენდა. როგორც პირად გამოსვლებში, აგრეთვე პრესის ფურცლებზე არ ინდობდა და ულმობელი კრიტიკით ეამოდიოდა თვითმმართველობის მუშაობის, ქალაქის გამგეობისა და ქალაქის თავის საქმიანობის ნაკლოვანი მხარეების შესახებ. იგი მხუ-

[1] გაზ. „მუშა", 1926 წ., № 1171.

რვალე მონაწილეობას ღებულობდა ქალაქის სათავადაზნაურო ბანკის მუშაობაში და მუდამ ამ დაწესებულების საზოგადოების ინტერესებისადმი დამორჩილებისათვის იბრძოდა.

საეკონომო და საზოგადოებრივ მოღვაწეობასთან ერთად დ. ნაზარიშვილი საინტერესო პიროვნებაა, როგორც პუბლიცისტი და მოაზროვნე. იგი მრავალ პერიოდულ გამოცემათა ფურცლებზე თანამშრომლობდა, მაგრამ მან თავის იდეურ-პოლიტიკური შეხედულებები ძირითადად გაზეთ „შრომა"-ში წარმოგვიდგინა.

დ. ნაზარიშვილი — გაზეთ „შრომის" დაარსების ინიციატორი და რედაქტორ-გამომცემელი

1881—1883 წლებში ქუთაისში გამოდიოდა გაზეთი „შრომა", რომლის გარშემო შემოიკრიბა ქართველ ლიბერალ-ხალხოსანთა ერთი ჯგუფი. ეს იყო იმ დროის ახალგაზრდობის ლიბერალურ-ხალხოსნური მიმართულების ორგანო დასავლეთ საქართველოში.

მე-19 საუკუნის 80-იანი წლების საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობისა და აზროვნების ისტორიაში გაზეთმა „შრომამ", თავისი ხანმოკლე არსებობის მიუხედავად, საკმაოდ მნიშვნელოვანი კვალი დატოვა. აქ ზედმეტად მიგვაჩნია მტკიცება იმის შესახებ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი მოვლენა უნდა ყოფილიყო ოთხმოციანი წლების საქართველოში გაზეთის გამოცემა, მიუხედავად იმისა, საზოგადოების რომელი კლასის ინტერესების გამომხატველი იქნებოდა იგი. მაგრამ ჩვენ ხაზი გვინდა გავუსვათ იმ მნიშვნელოვან გარემოებას, რ ომ ოთხმოციანი წლების დასაწყისში ისე მოღონიერდა საქართველოს მოწინავე ინტელიგენცია, რომ ქუთაისში ამ ინტელიგენციის ცალკეული ჯგუფი თავის საკუთარ ორგანოს აარსებს. ქუთაისის ისტორიაში პირველი ქართული გაზეთის დაარსება მნიშვნელოვანი მოვლენა იყო[1].

---

[1] გ. ბაქრაძე, ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია, თბილისი, 1947 წ., გვ. 9.

„შრომამ“ შემოიკრიბა ისეთი ცნობილი ქართველი მოღვაწეები, როგორიც იყვნენ: კირილე ლორთქიფანიძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, ბოსლეველი (ესტატე მჭედლიძე), კეზელი (დავით სოსლანი), სეველი (დავით ბაქრაძე), უმწიფარიქე (გრ. ვოლსკი), თუზელი (ივ. აბაშიძე) და სხვა.

ამ გაზეთის დაარსების ისტორიისათვის საარქივო დოკუმენტები დაცულია და შესაძლებელი ხდება მთელი რიგი მომენტების შესწავლა. საარქივო დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ 1881 წლის 19 იანვარს დიმიტრი ელიზბარის ძე დადიანმა და დიმიტრი ალექსანდრეს ძე ნაზარიშვილმა აღძრეს საქმე კავკასიის საცენზურო კომიტეტში, ქუთაისში კვირეული გაზეთის „შრომის“ გამოცემის ნებართვის შესახებ. დასახელებული პირები თავიანთ თხოვნაში აღნიშნავდნენ, რომ ისინი არ დაარღვევდნენ მთავრობის მიერ დადგენილ წესს ბეჭდვითი სიტყვის ხაზით: „ვივალდებულებთ თავს დავემორჩილოთ მთავრობის ყველა კანონმდებლობებსა და განკარგულებებს ბეჭდვითი სიტყვის საქმეში“[1].

ამავე თხოვნაში მოცემულია გაზეთის გამომცემლების მიერ შედგენილი პროგრამა, რაც ითვალისწინებდა შემდეგს: „1. წერილები მორიგ საკითხებზე; 2. ტელეგრამები; 3. ადგილობრივი ახალი ამბები და შენიშვნები; 4. უახლესი ცნობები—ლიტერატურული, საზოგადოებრივი და პოლიტიკური ხასიათისა; 5. ადგილობრივი თვითმმართველობის ქრონიკა; 6. საზღვარგარეთული და შინა კორესპონდენციები; 7. საგარეო და საშინაო პოლიტიკური მიმოხილვები; 8. კრიტიკული ნარკვევები თანამედროვე ლიტერატურის შესახებ; 9. ფელეტონები, მოთხრობები, სცენები, ლექსები და სხვა შენიშვნები; 10. ამიერ-კავკასიის ისტორიულ-გეოგრაფიული ნარკვევები; 11. მოქმედი კანონების ახსნა-განმარტებანი; 12. სასამართლოს პროცესების ანგარიშები და შენიშვნები; 13. ცნობარი-საძიებელი; 14. განცხადებანი“.

„შრომა“ კვირაში ორჯერ უნდა გამოსულიყო. 1881 წლის იანვარში აღძრული საქმე იმავე წლის 21 ივლისს დასრულდა. კავკასიის მეფის ნაცვალმა ნება დართო ქუთაისის გუბერნა-

---

1 ცსსა, საქ. სსრ ფონდი, № 5/12, 1881 წ., საქმე № 6107, ფ. 7.

ტორს ქართული გაზეთის „მროკვის" გამოცემაზე. გამომცემელთა განცხადებაში დართულ პროგრამის გათვალისწინებით, მაგრამ იმ შენიშვნით, რომ პროგრამაში გათვალისწინებული „მოქმედ კანონების ახსნა-განმარტების ბეჭდვა გაზეთს ეკრძალებოდა. ამასთანავე ნებართვაში ხაზგასმულია, რომ გაზეთის გამოცემის უშუალო პასუხისმგებლობა ევალება პირადად ჯ. დადიანს, რაც შეეხება დ. ნაზარაშვილს, ქუთაისის გუბერნატორის მიერ იგი არაკეთილსაიმედო პიროვნებად იქნა დახასიათებული და, თუმცა რედაქტორ-გამომცემლად დატოვეს, ჟანდარმერიის ქუთაისის განყოფილებას დაევალა მასზე თვალყურის დევნება. ქუთაისის საგუბერნიო სამმართველოში მდივნად მყოფ აბულაძეს დაევალა ცენზორობა, ხოლო ქუთაისის გუბერნატორს — გაზეთზე სისტემატური თვალყურის დევნება. გაზეთის ყოველი ნომერი უნდა გადაგზავნილიყო კავკასიის საცენზურო კომიტეტში"[1].

კავკასიაში მეფის ნაცვლის კანცელარია, ცხადია, გაცნობილი იყო ქუთაისში დ. ნაზარიშვილის პროგრესულ საქმიანობას, რის შესახებაც სათანადო საიდუმლო ცნობებსაც აწვდიდა მას ქუთაისის გუბერნატორი. აი რას სწერს ქუთაისის გუბერნატორი მეფის ნაცვალს, როგორ ახასიათებს იგი დ. ნაზარიშვილს:

„ექიმი ნაზარიშვილი, — ნაკლებად სანდო ადამიანია. ის დამკვიდრდა ქუთაისში ამ ორი-სამი წლის წინათ, და, როგორც მე გავიგე, მოერიდა სამსახურს სამხედრო საექიმო უწყებაში, რათა მთავრობისათვის სამსახური არ გაეწია. საექიმო პრაქტიკასთან ერთად ის აქ ქალაქის დუმაში, სადაც ხმოსნადაა, ეწევა ოპოზიციურს, მასთანვე სრულიად უსაფუძვლო აგიტაციას... ბანკის არჩევნები მას უნდა გამოიყენოს გაზეთის გამოცემის საქმეში და შესაძლოა სხვა უფრო ფარულსა და ბოროტმოქმედ წარმოებისათვის. ბანკის საქმეებში სერიოზული კონტროლის უქონლობის გამო ეს განზრახვა სიმართლეს მოკლებული არ არის. აი, რაში გამოიხატება ბატონ ნაზარიშვილის ღია მოქმედება. მისი ნამდვილი მოქმედება კი, რომელიც პოლიციისა და ჟანდარმერიის შტაბ-ოფიცრის დაკვირვებას ვერ გამოეპარა,

---

1 ცსსა, საქ. სსრ. ფონდი № 5/12, 1881 წ., საქმე № 6107. გვ. 25—26.

მოზრდილ გიმნაზიელთა შორის სრულიად უკიდურესი სოციალისტური თეორიების პროპაგანდაში გამოიხატება. რაც შეეხება აირველი მარტის ამბავს, ნაზარიშვილმა ამის გამო დიდი აღტაცება გამოთქვა იმ პირის მიმართ, რომელმაც პირველად აცნობა მას ამ უბედურების შესახებ[1]. მაგრამ ეს გარემოება საიდუმლოებას წარმოადგენს, რათა კომპრომეტირებული არ იქნეს ის პირი, რომელიც დღესაც მას თვალყურს ადევნებს"[2].

ასეთი იყო ადგილობრივი მმართველობის აზრი ქუთაისში დ. ნაზარიშვილის საქმიანობის შესახებ და, ცხადია, რომ კავკასიის სამეფისნაცვლო უყურებდა მას, როგორც არაკეთილსაიმედო პიროვნებას. ასეთი სისტემატური თვალყურის დევნებისა და კონტროლის მდგომარეობაში იყო დ. ნაზარიშვილი რევოლუციამდელ ხანაში, გ..ნსაკუთრებით კი იმ პერიოდში, როდესაც იგი გაზეთ „შრომის" რედაქტორ-გამომცემელი და ამ ორგანოს ერთ-ერთი თვალსაჩინო თანამშრომელი და იდეური ხელმძღვანელი იყო.

აღნიშნული გაზეთის დაარსების ისტორიის უკეთ შესწავლისათვის საჭიროა გაირკვეს დ. დადიანისა და დ. ნაზარიშვილის როლი ამ საქმეში. დიმიტრი დადიანი, გაზეთ „შრომის" რედაქტორ-გამომცემელი, ქუთაისის საადგილ-მამულო სათავადაზნაურო ბანკის" მმართველად ყოფილა ოთხმოციან წლებში. როგორც პუბლიცისტი, ის საკმაოდ ცნობილი პიროვნება ჩანს. ჯერ კიდევ „შრომის" დაარსებამდე იგი თანამშრომლობდა „დროებაში" და ფრიად საყურადღებო საკითხებს აყენებდა გადასაჭრელად საზოგადოების წინაშე. იგი იმ დროის მოწინავე საზოგადოების ერთგული და თანამებრძოლი ადამიანი ყოფილა. ბრწყინვალე თავადიშვილისათვის არაკეთილსაიმედო პირებთან ახლო ყოფნა იმ დროს არც თუ ისე ადვილი საქმე იყო. დ. დადიანს არ შეიძლება არ ცოდნოდა, რას წარმოადგენდა ქუთაისის ინტელიგენციის ის ჯგუფი, რომელიც გაზეთის გარშემო იყრი-

---

[1] 1881 წლის 1 მარტს ნაროდნოოლცებმა მოკლეს იმპერატორი ალექსანდრე II.

[2] ცსსა, საქ. სსრ. ფონდი № 5/12, 1881 წ., საქმე № 6107, ფ. ფ. 22—24.

და თავს. ამდენად, დ. დადიანი ქართულ ლიბერალ-ხალხოსნური მოძრაობის ისტორიაში ასე თუ ისე, პროგრესული ადამიანი მოჩანს, მან იკისრა რეაქციული მთავრობის წინაშე გაზეთის გამოცემისათვის პასუხისმგებლობა.

როგორც ჩანს, გაზეთის გამოცემის საინიციატივო ჯგუფს, რომელსაც დ. ნაზარიშვილი მეთაურობდა, დ. დადიანის რედაქტორად მოწვევა იმიტომაც აინტერესებდა, რომ მას, როგორც დიდგვარიშვილსა და საქმის კაცს, მთავრობა ენდობოდა. აღნიშნულ მოსაზრებას მეფისნაცვლის მთავარ სამმართველოში ქუთაისის გუბერნატორის მიერ დადიანზე წარდგენილი დახასიათებაც ადასტურებს. „თქვენი აღმატებულების მიერ გამოგზავნილ ტელეგრამაზე მაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ თავადი დ. დადიანი, რამდენად ეს პირადად ჩემთვის ცნობილია, აგრეთვე აქაური მიუკერძოებელი და საიმედო მცხოვრებლების დახასიათებით პოლიტიკურად კეთილსაიმედოა"[1].

მეორე გარემოება, რასაც დ. დადიანის რედაქტორად მოწვევისათვის ხელი უნდა შეეწყო, მისი ქონებრივი მდგომარეობა უნდა ყოფილიყო. გაზეთის გამოცემას სახსრები სჭირდებოდა და შეღლებული რედაქტორის შერჩევას ქუთაისელი ხალხოსნების ფინანსური ხელმოკლეობის გამო მნიშვნელობა ჰქონდა. თუკი დ. დადიანი თავისი ქონებიდან გაზეთის გამოსაცემად წვლილს არ დაზოგავდა, ამ მხრივ იგი ამ ჯგუფის ხელშემწყობი პიროვნება იქნებოდა. ეს ზემოთ აღნიშნულ დახასიათებიდანაც დასტურდება. „აქედან გამომდინარე ჩემთვის ცასაგებია, რომ დ. ნაზაროვი გაზეთის გამოცემისათვის ცდილობს მიეკედლოს დ. დადიანის რეპუტაციას და ისარგებლოს მისი ფულადი სახსრებით"[2].

გაზეთი „შრომა", რომელმაც თავის ირგვლივ შემოიკრიბა საუკეთესო საზოგადო მოღვაწენი და ახალგაზრდობა, უეჭველად იყო ის დიდი ნობათი, რომელიც პროგრესულ იდეებს

---

[1] ცისა, საქ. სსრ. ფონდი 5/12, 1881 წ., საქმე 6107. ფ. ფ. 22—24.

[2] იქვე.

ნერვავდა საზოგადოებაში. ძოწინავე აზრებს ავრცელებდა შშრომელ მასებში. რა თქმა უნდა. ასეთი მოვლენა ძლიერ აწუხებდა და არ მოსწონდა ადგილობრივ რეაქციულ ხელისუფლებას, რომელიც უარყოფითად უყურებდა „შრომაში“ მოთავსებულ რადიკალური შინაარსის კორესპონდენციებს.

გაზეთ „შრომის“ ლიბერალ-ხალხოსანთა ჯგუფი და დ. ა. ნაზარიშვილი

გაზეთ „შრომის“ ლიბერალ-ხალხოსან პუბლიცისტთა პოლიტიკურ პროგრამაში მეტ-ნაკლებად დამახასიათებელი საერთო ნიშნები შეინიშნება. ეს ნიშნებია: სოციალური საკითხი, სოფლის ყოფა-ცხოვრების შესწავლა და გლეხობის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ზრუნვა; საქართველოს მაშინდელი პოლიტიკური მდგომარეობის აღწერა და ქართული ეროვნული კულტურის აღორძინებისათვის ზრუნვა; 80-იანი წლების რეაქციის გამო, მათი მიდრეკილება კულტურულ-საგანმანათლებლო საქმეებისაკენ“[1].

გაზეთ „შრომის“ თანამშრომელთა შორის აღსანიშნავია ბოსლეველი (ესტატე მჭედლიძე), რომელიც სამწერლო ასპარეზზე 1880 წელს გამოვიდა. მისმა „კრიტიკულმა მიმოხილვებმა“, რომლებსაც გაზეთ „შრომაში“, „დროებასა“, და „ივერიაში“ ათავსებდა, მას ნიჭიერი და პროგრესულად მოაზროვნე პუბლიცისტის სახელი მოუხვეჭა. გამოქვეყნებული წერილებიდან ჩანს, რომ იგი გაცნობილი ყოფილა მარქსის მოძღვრებას. მან სასტიკად გაილაშქრა გ. მაიაშვილის ეკონომიური შეხედულებების წინააღმდეგ. ბოსლეველი თავის ფელეტონებში, მარქსისა და სხვა ავტორიტეტების შრომებზე დაყრდნობით, ამტკიცებდა გ. მაიაშვილის დებულების შეცდომებს

[1] სწორედ ამ მეტნაკლებად დამახასიათებელი საერთო ნიშნებით უნია ავხსნათ აკაკი წერეთლის, კირილე ლორთქიფანიძისა და ნიკო ნიკოლაძის თანამშრომლობა და კავშირ-ურთიერთობა გაზეთ „შრომის“ ლიბერალ-ხალხოსანთა ჯგუფთან.

და იცავდა პოლიტიკური ბრძოლის საჭიროებას, ეკონომიური ხასიათის მოთხოვნებთან ერთად. ბოსლეველისათვის დამახასიათებელია, აგრეთვე, ეროვნული მოტივები, რისთვისაც სიცოცხლესაც არ ზოგავს. იგი ქართველ ინტელიგენციას და დემოკრატიას მოუწოდებს ამ მიმართულებით გაბედული ნაბიჯის გადადგმისაკენ. ბოსლეველი ამავე დროს სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობასაც ეწევა. მას ეკუთვნის აკაკი წერეთლის, ილია ჭავჭავაძისა და კრილოვის თხზულებათა კრიტიკული გარჩევა. „შრომაში" ხშირად ვხვდებით ე. ბოსლეველის კრიტიკული ხასიათის წერილებს, რომლებიც მიმართულია „ივერიისა" და „იმედის" ზოგიერთი შეხედულების წინააღმდეგ.

„არაგველის" ფსევდონიმით „შრომაში" თანამშრომლობდა დავით კეზელი (სოსლანი). 70-იან წლებში იგი იბრძოდა თვითმპყრობელური მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ, 80-იან წლებში ლიბერალურ-ხალხოსნურ პოზიციებზე დგება.

გაზეთ „შრომის" ხალხოსან თანამშრომელთა ჯგუფიდან აღსანიშნავია, აგრეთვე, სეველი (დავით ბაქრაძე).

როგორც კირილე ლორთქიფანიძის არქივში დაცული მასალებიდან ჩანს, დ. ბაქრაძე „შრომის" რედაქციაში შედიოდა. იგი აღნიშნული ორგანოს გამოცემის ტექნიკურ-ორგანიზაციულ საქმეებში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა.

გრიგოლ ვოლსკიც, როცა იგი მოსკოვის უნივერსიტეტში სწავლობდა, თანამშრომლობდა ქუთაისის გაზეთ „შრომაში" უმწიფარიძის ფსევდონიმით. იგი ყურადღებას იქცევს, როგორც უანგარო საზოგადო მოღვაწე და ნიჭიერი პოეტი. მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობიდან ბათუმის პერიოდია განსაკუთრებით საინტერესო. როგორც საზოგადოებრივი საქმეებით დაინტერესებულმა პირმა, დიდი ამაგი დასდო ბათუმის მშრომელი მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეს. იგი თავდადებულად იბრძოდა ქალაქის კეთილმოწყობისა და გამშვენიერებისათვის.

დ. ნაზარიშვილი, ფსევდონიმებით: „N", „ლომკირი", „Наблюдатель" თანამშრომლობდა გაზეთ „შრომაში", „ჩვენს

ქვეყანაში", „Новое обозрение-ში, „მწყემსში" და სხვა. იგი ეხებოდა და აშუქებდა საქართველოს ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული მდგომარეობის საკითხებს, სამედიცინო საქმეებს და სხვ.

დ. ნაზარიშვილის პუბლიცისტური ხასიათის წერილების გარჩევისას დასტურდება, რომ ავტორი დაინტერესებულია ხალხის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებით, მოითხოვს სოფლისა და ქალაქის კეთილმოწყობას ხალხის სასარგებლოდ. პირველ რიგში ეს ნათლად მოჩანს გაზეთ „შრომის" მასალებიდან.

გაზეთ „შრომაში" აღძრული და გაშუქებული საკითხები ქართველი ხალხის საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების მრავალ მხარეს მოიცავს. მასში ასახულია როგორც ქუთაისისა და დასავლეთ საქართველოს ყოფაცხოვრება, ისე საქართველოს სხვა კუთხეების მდგომარეობა. გაზეთი ხშირად ათავსებს მასალებს რუსეთისა და დასავლეთ ევროპის პოლიტიკური ვითარების შესახებ. გაზეთ „შრომის" შინაარსობრივი მხარეების გაცნობის შემდეგ იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ მისი თანამშრომლები ლიბერალურ-ხალხოსნურ პოზიციებზე იდგნენ.

„შრომის" თანამშრომელთა ყურადღების ცენტრი ხალხის კეთილდღეობაზეა გამახვილებული, ხალხთან დაახლოება, მათი მდგომარეობის შესწავლა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის ზრუნვაა „შრომის" ჯგუფის მოღვაწეობის მთავარი საგანი. მოითხოვენ ხალხთან დაახლოებას და მჭიდრო კავშირის დამყარებას: „მაშ შევათანხმოთ, შევაერთოდ ჩვენი რწმენა მათ რწმენასთან, ჩვენი ცხოვრება მათ ცხოვრებასთან, ზოგი ჩვენ შევასწავლოთ და უმეტესად მათგან ვისწავლოთ, გადავდვათ თავი მათთან სულით და გულით შეკავშირებულად და მაშინ ჩვენ აჩქარებულის ნაბიჯით წავალთ ეკონომიურის მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ეონიბისა და ზნეობის განვითარების გზაზედო"[1]. — წერს დ. ნაზარიშვილი.

ძირითადი საკითხი, რომელზეც გამახვილებულია „შრომის"

---

[1] „შრომა", 1882 წ., № 22.

ყურადღება, საგლეხო რეფორმის შედეგებისა და ქართველი გლეხების მდგომარეობის აღწერაა. მათ სოფლის მეურნეობა მიაჩნიათ ხალხის ცხოვრების გაუმჯობესების მთავარ საშუალებად: „ჩვენი ხალხის ყოველი ცხოვრების სახსარი დაფუძნებულია მიწის მეურნეობაზე, ამიტომაც ყოველი საშუალება უნდა მივიღოთ, რომ ამ მეურნეობას არავითარი დამაბრკოლებელი მიზეზი არ ექნეს და საზოგადოდ იმნაირი სწორი გზით იქნეს წაყვანილი, რომ ამ მეურნეობის საშუალებით ხალხმა ცხოვრების სხვადასხვა იარაღი შეიძინოს და თავისი მდგომარეობა თანდათან გააუმჯობესოს“-ო[1] აღნიშნავს გაზეთი.

დ. ნაზარიშვილი საქართველოსთან ერთად რუსეთის სოფლის მდგომარეობასაც აგვიწერს, „შრომაში“ რუსეთის სოფლის შესახებ იგი წერს: „ფიზიკურად გამძლე მუშა-კაცები გაფანტულან აქეთ-იქით ხუთასისა და ათასის ვერსტის სიშორეზე მდებარე ქალაქებში ორი გროშის საშოვარად, რომ რამდენიმე წლის შეუტანელი სახელმწიფო ხარკი გადაიხადონ. უპატრონოდ აოხრებული მათი სახლ-კარის და ეზო-გარემოს ყურება გულს უკლავს გარეშე მაყურებელს და გაუღვიძებს გულში პატიოსან გრძნობას მათი შველისათვის. ამ მდგომარეობას რომ გაეცნობი ადამიანი, მგრძნობიარე გულის მაგიერ შავი და ყოველი ფერის უგრძნობელი ცივი მიწა უნდა გედვას გულმკერდში, რომ არ დაივიწყო ყოველნაირი სიამოვნება, კმაყოფილება, და არ გასწირო სიცოცხლე მათთვის; მაგრამ სად არის ახლა კაცები, რომელთაც ხალხის გაჭირვება, საჭიროება დაწვრილებით შესწავლილი ქონდეთ. მათი რიცხვი ცოტაა, როგორც ყოველი ქვეყნის სასარგებლო კაცებისა“[2].

რუსეთის სოფლის მეურნეობის დუხჭირი მდგომარეობის აღწერით იგი თვითმპყრობელური მთავრობის უსუსურობაზე მიგვითითებს. „მთავრობაც მიმხდარია ეხლა, — რომ ამგვარი მდგომარეობა სახელმწიფო წყობილებისათვის და საზოგადოებისათვისაც საშიშია“[3].

„შრომა“, 1882 წ., № 22.

2 იქვე.

3 იქვე.

„შრომის“ თანამშრომლებმა ხალხოსნების მსგავსად, ვერ შესძლეს კაპიტალიზმის განვითარების პროგრესული მნიშვნელობისა და ახალი რევოლუციური ძალის — პროლეტარიატის როლის შეფასება.

გაზეთ „შრომის“ პუბლიცისტები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ საქართველოს იმდროინდელი პოლიტიკური მდგომარეობის გამო და გლეხობის ინტერესების დაცვასთან ერთად თავდადებით იბრძოდნენ საქართველოს ეროვნული აღორძინებისათვის.

გამოქვეყნებული მასალებისა და იმ კორესპონდენციების ანალიზის საფუძველზე, რომლებიც ამოღებულ იქნა ცენზურის მიერ, შეიძლება დავასკვნათ, რომ გაზეთ „შრომის“ პუბლიცისტები ცარიზმის უღლის ქვეშ მყოფ რუს ხალხს დიდ პროგრესულ ძალად თვლიდნენ, ხოლო რუსეთთან საქართველოს შეერთებას დადებითს შეფასებას აძლევდნენ, მათ ესმოდათ, რომ რუსეთთან შეერთების შედეგად ქართველი ხალხი დაუახლოვდა რუსეთის კულტურას. მაგრამ ის გარემოება, რომ რუსეთთან შეერთებამ ხელი შეუწყო საქართველოში კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებას, მათთვის შეუმჩნეველი და გაუგებარი დარჩა.

სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური ხასიათის საკითხებთან ერთად გაზეთი „შრომა“ მნიშვნელოვან ადგილს უთმობდა კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებათა საკითხებს. ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებას ფიქრობდა კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებათა გატარებით.

ამრიგად, ლიბერალურ-ხალხოსანთა ქუთაისის ჯგუფის პროგრამაში, მცდარ შეხედულებასთან ერთად შეიმჩნევა ამ პროგრამის პროგრესული მხარეებიც.

ეხება რა რუსული ლიბერალური ხალხოსნების პროგრამის ორ მხარეს ვ. ი. ლენინი წერს: ... „ნაროდნიკული პროგრამის უარყოფა მთლიანად, განურჩევლად, აბსოლუტურად უმართებულო იქნებოდა. ამ პროგრამაში მკაცრად უნდა გავარჩიოთ ზისი რეაქციული და პროგრესული მხარეები[1].

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 1, გამოცემა მეოთხე, გვ. 611.

ლიბერალური ხასიათის კორესპოდენციების გვერდით გაზეთ „შრომის“ ფურცლებზე ხშირად იბეჭდებოდა დ. ნაზარიშვილისა და სხვა პუბლიცისტთა ისეთი წერილებიც, რომლებიც მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ იყო მიმართული. როგორც საარქივო მასალებიდან ჩანს, ამ წერილებმა მთავრობის აღშფოთება გამოიწვია და ეს გაზეთი გახდა კავკასიის საცენზურო კომიტეტისა და მთავარმართებლის მსჯელობის საგნად. დაიწყო ამ ორგანოს შევიწროება. რედაქციის დაჯარიმებისა და ცენზორ აბულაძის დაპატიმრების შემდეგ, „შრომის“ ცენზურა თბილისში გადაიტანეს. მკაცრი ცენზურული რეჟიმის გატარების შემდეგ, აზრი აღარ ქონდა ფრთებშეკვეცილი კორესპონდენციების გამოქვეყნებას და 1883 წლის 3 ივნისს „შრომის“ გამოცემა შეწყდა.

მთავრობისა და საზოგადოების ზოგიერთი უღირსი წევრის ემსგავსო მოქმედების გამო უკმაყოფილო დიმიტრი, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, 1883 წლის 9 მაისის თარიღით ნ. ნიკოლაძისადმი გაგზავნილ წერილში წერს: „არ არის საჭირო, რომ მოგიყვანოთ მაგალითები ჩვენი საზოგადოების ცხოვრებიდან, ისინი თქვენთვის კარგად არის ცნობილი, მაგრამ არ შემიძლია, რომ არ გავიხსენო ჩვენი უბედური გაზეთის შესახებ. რომელსაც დღეს თუ ხვალ მოუღებენ ბოლოს. და იცით ვინ არის ამის მიზეზი? თვით ჩვენი საზოგადოება, რომელიც ჩვენი გაზეთის თითქმის ყოველი ნომრის გამოსვლის შემდეგ. გზავნიდა ურიცხვ დასმენებს სხვადასხვა ორგანოებში, ზოგიერთნი, რომელიც მანამდე სანამ შეისწავლიდა ანბანის ამოკითხვას, ისწავლა სტრიქონებს შორის ამოეკითხა ის რაც გამოსადეგია მხოლოდ დასმენისათვის. შედეგად მივიღეთ ის, რომ ცენზურა გადაიტანეს თბილისში და ახლა ბატონი ლუკა ისარლოვი შეუბრალებლად ანადგურებს ჩვენს ისედაც ნაკლებ შინაარსიან წერილებს... ჩვენთან საერთოდ ამგვარად ხდება... მაგრამ ყველა ამის გამო, რომ დავკარგოთ რწმენა უკეთესს მომავალზე ვთვლი არასაპატიო ცოდვათ, ყოველშემთხვევაში ახალგაზრდა თაობისათვის, რომელმაც ჯერ კიდევ ვერ მოასწრო გაეკეთებინათ მისთვის რაიმე... რაც

შემეხება პირადათ მე, ამ ვითარებიდან გამომაქვს დასკვნა. რომ საჭიროა დაველოდო და დავზოგო საკუთარი ძალა, რომ უკეთეს დროს გამოვიყენო იგი და ეს უკეთესი დრო შორს არ არის, ყოველ შემთხვევაში მე ეგრე ვფიქრობ"[1].

როგორც წერილიდან ჩანს, მთავრობისა და საზოგადოების ზოგიერთი წევრის მოქმედებით უკმაყოფილო დიმიტრი არ კარგავს იმედს უკეთეს მომავალზე, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობისათვის, ამ უკეთესი მომავლისაკენ მიმავალ გზაზე მოსალოდნელი დაბრკოლების დასაძლევად ის იკრებს ენერგიას და გაბედული მოქმედებისათვის მოხერხებულ მომენტს ეძებს.

*

* *

უნდა აღინიშნოს, რომ მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში ქუთაისში მოწინავე ინტელიგენციის ფართო შემოქმედებითი მუშაობა გაიშალა. ისინი გატაცებულნი იყვნენ დიდი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების გერცენის, ბელინსკის, ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის იდეებითა და, აგრეთვე გამოჩენილი ქართველი მოღვაწეების ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და ნიკო ნიკოლაძის პროგრესული აზრებით.

დ. ნაზარიშვილის ოჯახი მოწინავე ქართველი ახალგაზრდობის, პროგრესულად მოაზროვნე ინტელიგენციის თავყრილობის კუთხე იყო. ზაფხულისა და ზამთრის არდადეგების დროს იქ თავს იყრიდა რუსეთის უნივერსიტეტებიდან ჩამოსული ქართველი სტუდენტობა, ახალგაზრდობას გარდა იქ იკრიბებოდნენ აგრეთვე ჭაღარამოსილი ცნობილი საზოგადო მოღვაწეებიც: ნიკო ნიკოლაძე, გიორგი ზდანოვიჩი, კირილე ლორთქიფანიძე და სხვები. იყო კამათი და აზრთა გაცვლა მრავალ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ საკითხებზე. გიორგი ზდანოვიჩი, როდესაც მას მთავრობა სდევნიდა. დიმიტრის სახლში იფარავდა თავს.

---

[1] დ. ნაზარიშვილის არქივი, 2176/347.

მე-19 საუკუნის 70-იან წლებში, სტუდენტობის დროს ის აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა რევოლუციურ-ხალხოსნურ მოძრაობაში, რისთვისაც 1877 წელს იგი სხვა ხალხოსნებთან ერთად გასამართლებულ იქნა სენატის მიერ. განსაკუთრებით დიდ ინტერეს იწვევდა დიმიტრის ოჯახში ნიკო ნიკოლაძესა და გიორგი ზდანოვიჩს შორის გამართული ცხოველი კამათი მეტად მნიშვნელოვან პოლიტიკურ საკითხებზე.

უნდა აღინიშნოს, რომ პირად შეხვედრებს გარდა, დიმიტრისა და ნ. ნიკოლაძეს შორის უაღრესად მნიშვნელოვანი. საქმიანი მიწერ-მოწერაც არსებობდა. ამ მიწერ-მოწერის მასალები დაცულია ქუთაისის სახ. ისტ. ეთნ. მუზეუმის დ. ნაზარიშვილის ფონდში. მათგან ჩვენ შევეხებით მხოლოდ ორ წერილს. 1893 წლის 9 მარტის თარიღით; აი რას სწერს ნ. ნიკოლაძე დიმიტრი ნაზარიშვილს: „დიდათ პატივცემულო დიმიტრი ალექსანდრეს ძევ!

თქვენს მიერ ჩემს მიმართ მოცემულ კითხვაზე — ვაცხადებ თუ არა მე თანხმობას, კენჭი ვიყარო ქუთაისის ქალაქის თავის თანამდებობაზე, იმ შემთხვევაში, თუ პატივს დამდებენ ამ პოსტზე ჩემი კანდიდატურის წამოყენებით, ჩემს მოვალეობად ვთვლი გიპასუხოთ თანხმობით. თანახმად ამისა, თვით მე გაძლევთ რწმენას, იმ შემთხვევაში, თუ ჩემი კანდიდატურა ნამდვილად წამოიჭრა, განაცხადოთ ქუთაისის სათათბიროში ჩემი სახელით ჩემი თანხმობა იმაზედ, რომ კენჭი ვიყარო ქუთაისის ქალაქის თავის თანამდებობაზე. მე თავს ჩავთვლიდი ბედნიერად, თუ ჩემი სამსახური აღმოჩნდებოდა სასურველი წარმომადგენლებისათვის და სასარგებლო ჩემი მშობლიური ქალაქის მოსახლეობისათვის.

გთხოვთ მიიღოთ რწმუნება გულითადად თქვენი პატივისმცემლისა და გულწრფელი ერთგულის ნიკო ნიკოლაძისაგან“[1].

როგორც ჩანს, ნ. ნიკოლაძის ეს და, აგრეთვე, ქვემოთ მოყვანილი მეორე წერილიც წარმოადგენს დ. ნაზარიშვილის იმ კითხვის პასუხს, რომლითაც იგი მას სთხოვდა, რომ ეკისრა

---

[1] დ. ნაზარიშვილის არქივი, 2176/349.

ქუთაისის ქალაქის თავის მოვალეობა. ეს წერილები ძეტად საინტერესოა არა მარტო იმიტომ, რომ მათში გამოთქმულია ნ. ნიკოლაძის თანხმობა ქუთაისის ქალაქის თავის თანამდებობაზე მისი არჩევის შესახებ, არამედ იგი საინტერესოა აგრეთვე იმიტომაც, რომ ამ წერილებიდან ჩანს ნ. ნიკოლაძისა და დ. ნაზარიშვილის ახლო და საქმიანი ურთიერთობა და ამ უკანასკნელის თვალსაჩინო მდგომარეობა ქუთაისის საქალაქო მმართველობაში.

ნ. ნიკოლაძე.

ნ. ნიკოლაძის მეორე წერილი. დათარიღებულია 1910 წლის 29 ოქტომბრით. იგი წერს: „ჩემო საყვარელო და ძვირფასო დიმიტრი!

მაპატიე, რომ პასუხი შენს წერილზე დამიგვიანდა: უამრავი სადავიდარაბო საქმე მაქვს მარგანეცის საკითხისა და ქალაქის სხვა შუამდგომლობათა გამო. გიგზავნი ჩემს პასუხს დავით არჩილისძისათვის[1] (პირს), რომელმაც ისეთივე წერილი გამომიგზავნა, როგორც შენ, ეს არის ჩემი აზრებისა და გრძნობების გულახდილი გამოხატულება; მთელი სულითა და გულით მსურს კემსახურო ქუთაისს და ვფიქრობ, რომ უკეთესად მოვემსახურები მას არა ქალაქის თავის როლში, არამედ რწმუნებულად. ამ როლში უფრო თავისუფალი და ძლიერი ვიქნები, ვიდრე ქალაქის თავის თანამდებობაზე, სადაც მეორეხარისხოვანი საკითხების მთელი მასა გამიმრავლებს მოწინააღმდეგეებს და საზრუნავს გამიჩენს. განზე გავდგები ყოველნაირი პოლიტიკოსებისაგან, მიმართულებების, დავის, კინკლაობისა და ეჭვიანობისაგან. ვისარგებლებ საერთო მხარდაჭერით, რომლის გარეშე შეუძ-

---

[1] დავით არჩილის ძე ღორთქიფანიძე.

ლებელია რაიმე დიდისა და საქმიანის გაკეთება. ვიმედოვნებ, რომ ჩემი წერილის სტრიქონები დ. არჩილისძისადმი, სადაც ლაპარაკია იმის შესახებ, რომ მე „თქვენთან საუბარში თანხმობა განვაცხადე დამეკავებინა ქუთაისის ქალაქის თავის პოსტი იმ პირობითა და იმედით, რომ ფოთელები დარწმუნდებიან“ და ა. შ. მთლიანად დაგაკმაყოფილებს და გამოგიყვანს იმ უსიამოვნო მდგომარეობიდან, რომელშიც, თითქოს იმყოფები. ყოველ შემთხვევაში დამეხმარე აგრეთვე მეც, რომ გამოვიდე უსიამოვნო მდგომარეობიდან: აირჩიეთ ქალაქის თავად ვინც გსურთ, ვისაც ენდობით, მე კი თქვენთან ერთად ხელიხელჩაკიდებული ვიმუშავებ და გპირდებით, რომ ქუთაისს გადავაქცევ მნიშვნელოვან სამრეწველო ქალაქად რუსეთის ქალაქებს შორის, თუ დუმა დამეხმარა ქუთაისის ან საკონცესიო წარმოების ანგარიშზე და მის სასარგებლოდ გარდავქმნა რიონი და ცხენისწყალი. (პირველად—ერთი, შემდეგ მეორე. მაგრამ თავიდანვე და ერთდროულად ორივე მდინარის უფლების მოპოვებით, — კონკურენციის თავიდან ასაცილებლად) ელექტრონის ენერგიად. სულერთია, ქუთაისში რომ ქალაქის თავად გადმოვსულიყავი, ამ საქმის გარდა არაფერს ხელს არ მოვკიდებდი. მეჩქარება, მაგრად გართმევ ხელს, ნახვამდის. მთლიანად შენი ნიკო ნიკოლაძე[1].

1905 წლის რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციისადმი დიმიტრი უდიდეს ინტერესს იჩენდა. ისე როგორც ყოველთვის, ამ პერიოდში იგი აქვეყნებს პრესაში მრავალმხრივ საინტერესო კორესპონდენციებს.

დიმიტრისთან ერთად მისი ოჯახი — მეუღლე და შვილები დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალ-ყურს საზოგადოებრივ მოვლენათა მსვლელობას. მათ მრავალ საზოგადოებრივ-პროგრესულ საქმიანობაში მიუღიათ მონაწილეობა.

დიმიტრის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მრავალ საინტერესო ცნობებს ვნახულობთ ისეთ ცნობილ მეცნიერთა

---

[1] დ. ნაზარიშვილის არქივი, 2176—30, ნ. ბალანჩივაძე, „ნ. ნიკოლაძის წერილი დიმიტრი ნაზარიშვილისადმი“, გაზეთ „სტალინელი“, 1954 წ., № 245, ქუთაისი.

და ექიმთა შრომებში, როგორნიც არიან ექიმი ევსევი ლოსაბერიძე[1], საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფ. ა. წულუკიძე[2], საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფ. დ. ჯავახიშვილი[3], დოცენტი ს. ასლანიშვილი[4], დოც. გ. წითლანაძე[5], ექიმი ვ. ბურჯანაძე[6] და სხვ. დ. ნაზარიშვილის პირად არქივში მეტად საინტერესო და უხვი მასალებია დაცული, რომლის შესწავლა და გამოქვეყნება სასარგებლო საქმე იქნება.

სხვა დოკუმენტებთან ერთად, არქივში დაცულია ევსევი ლოსაბერიძის, ბესარიონ კელენჯერიძის, იაკობ ჩარექოვის, დამსახურებული მასწავლებლის ელენე პეტრიაშვილისა და სპირდონ ბოლქვაძის მოგონებანი, აგრეთვე დიმიტრის მოღვაწეობის 45 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო მასალები, რომლებიც ხალხის სასარგებლოდ მის თავდადებულ და უანგარო საქმიანობაზე მოგვითხრობენ.

საბჭოთა საზრგადოებრივობამ სათანადოდ დააფასა დიმიტრის ამაგი რაც ნათლად ჩანს მისი იუბილეს მასალებიდან.

როგორც თავისი მშობლიური მხარის უდიდესი პატრიოტი, იგი მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა ქართველი საზოგა-

---

[1]. ე. ლოსაბერიძე. „დიმიტრი ნაზარიშვილი", ჟ. „თანამედროვე მედიცინა", № 1—2, 1927 წ., თბილისი, გვ. 1—5.

[2] И. П. Цулукидзе, «Врачи-грузины XIX столетия», Тбилиси, 1948, გვ. 44 — 46.

[3] Д. В. Джавахишвили, «К истории развития курорта Цхалтубо», Тбилиси, 1954 г., გვ. 23 — 25.

[4] ს. ასლანიშვილი, „მედ. მეცნ. დოქტორის დიმიტრი ალექსანდრეს ძე ნაზარიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა", მოხსენება წაკითხული 1955 წ. 11 აპრილს საქართველოს სსრ თერაპევტთა საზოგადოების გაფართოებულ სხდომაზე.

[5] Г. В. Цитланадзе, «Курорт Цхалтубо», Тбилиси, 1955 г., გვ. 8 — 9.

[6] ვ. ბურჯანაძე, „დ. ა. ნაზარიშვილი", გაზეთი „სტალინელი", № 244, 1954 წ., ქუთაისი.

დო მოღვაწეების საიუბილეო შეკრებებზეც. აკაკი წერეთლის 50 წლის მოღვაწეობის იუბილეზე, ქუთაისის სამედიცინო საზოგადოების სახელით, მან სიტყვით მიმართა საყვარელ



ქუთაისელ საზოგადო მოღვაწეთა ერთი ჯგუფი.

მარცხნიდან სხედან: 1. ილარიონ მიქელაძე, 2. ალექსანდრე ჯყონია, 3. ალექსი ჭიჭინაძე, 4. დავით ლორთქიფანიძე, 5. დიმიტრი ნაზარიშვილი, 6. პეტრე წულუკიძე, 7. ვ. პეტრიაშვილი.

მარცხნიდან დგანან: 1. ყიფიანი, 2. ალიოშა გაბაშვილი, 3. გ. ზდანოვიჩი, 4. ლოსაბერიძე, 5. კობეშავიძე.

პოეტს: „მრავალტანჯული საქართველოს უკეთესო შვილო და დიდო გულშემატკივარო აკაკი! მე წილად მხვდა ბედნიერება ამ უდიდეს საადღესასწაულო დღეს, რომლის მოგონება არასოდეს არ წაიშლება ქართველთა გულში. მოგესალმოთ თქვენ ქუთაისის სამედიცინო საზოგადოების სახელით. თქვენთვის ცნობილია, რომ ამ საზოგადოების წევრების წმინდა მოვალეობას შეადგენს. იმ ხალხის ფიზიკური დაავადებისაგან განკურნება, რომლის სულიერ დაბეჩავებას (დაავადებას) თქვენ მკურნალობთ თქვენი ძლიერი სიტყვით 50 წლის განმავლობაში. სხვათა შორის გეტყვით, რომ ვხედავ რა ამ ენთუზიაზმს, ამ უდიდეს

სულიერ აღმავლობას, ყველა წოდებისა და კლასების ამ ერთნაირი ქედის მოხრას თქვენი გენიის წინაშე, კიდევ უფრო ვრწმუნდებით, რომ თქვენ აღმოჩნდით ყველაზე უკეთესი ექიმმათთვის, რომელმაც შესძელით აგეყენებინათ მომაკვდავი და გეჩვენებინათ მისთვის ის უდიდესი მიზანდასახულებანი, რასთვისაც საჭიროა ცხოვრება და მუშაობა. ჩვენი მიზნების ეს ერთიანობა, ზემოთ გამოთქმული შინაარსით, გვავალებს ჩვენ, ექიმებს ამ სადღესასწაულო დღეს გულწრფელად გისურვოთ თქვენ, ძვირფასო პოეტო, კიდევ ხანგრძლივი წლების განმავლობაში ატაროთ თქვენი ძნელი მოვალეობა და საკუთარი ხალხის სიყვარულის გამო ნებაყოფლობით აიღოთ თავის თავზე ვალდებულება მისი მკურნალობისა. დაე, თქვენი სიყვარულუხვი და მრავალტანჯული გული პოვებდეს იმედსა და სიხარულს დღევანდელ დღესასწაულში, დაე ეს იყოს იმის დამტკიცებელი, რომ თქვენს შრომას არ ჩაუვლია ამაოდ, თქვენ შეასრულეთ ძალზე ძნელი ამოცანა. შეგვაერთეთ ყველანი ერთი ღმერთის წინაშე ქედის მოხრის ერთიანი გრძნობებით, ღმერთის წინაშე, რომელთაც ჩვენს ენაზედ ეწოდება ქართველი ხალხი.

გისურვებთ თქვენ, რომ შეგესრულებინოთ აგრეთვე სხვა არანაკლებ ძნელი ამოცანა: გეჭიროთ მაღლა დროშა იმ დრომდე, სანამ არ მოიძებნება თქვენი ღირსეული მემკვიდრე და მხოლოდ მაშინ თქვენ მიიღებთ უფლებას, რომ მიმართოთ თქვენს თაყვანისმცემელ ხალხს სიმეონის სიტყვებით: „აწ განმიტევე მონა შენი მე, უფალო“... ჯერ-ჯერობით კი დღეგძრელობდეს ჩვენი პოეტი, ჩვენი სულიერი გრძნობების შესანიშნავი წამმართველი, იმ სამშობლოს ღირსეული შვილი, რომელსაც დიდი ხანია არ უნახავს ბედნიერი დღეები“[1].

1927 წლის 19 თებერვალს 73 წლის ასაკში მყოფი დიმიტრი ნაზარიშვილი გარდაიცვალა. დ. ნაზარიშვილი დაასაფლავეს ქ. ქუთაისში მისი მეგობრების კირილე ლორთქიფანიძისა და გიორგი ზდანოვიჩის გვერდით, ბაგრატის ტაძრის გალავანში.

---

[1] დ. ნაზარიშვილის სიტყვა აკაკი წერეთლის მოღვაწეობის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოზე, დ. ნაზარიშვილის არქივი, 2176/350.

საბჭოთა საზოგადოებრივობამ კვლავ ღირსეულად დააფასა ამ უანგარო და კეთილშობილი ადამიანის მოღვაწეობა და მას 1937 წელს გარდაცვალებიდან 10 წლის, ხოლო 1954 წელს დაბადებიდან 100 წლისთავის იუბილე გადაუხადა. თბილისისა და ქუთაისის ექიმთა საზოგადოებებმა დიდი პატივისცემით აღნიშნეს დიმიტრი ნაზარიშვილის დაბადებიდან ასი წლისთავის იუბილე..



ბაგრატის ტაძრის ნანგრევები.

თბილისის ექიმთა საზოგადოების საჯარო სხდომაზე დ. ნაზარიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ შინაარსიანი მოხსენებით გამოვიდა დამსახურებული ექიმი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს ექიმთა საზოგადოების საპატიო წევრი, აწ განსვენებული დოცენტი სოსო ასლანიშვილი.

„მთელი თავისი მნიშვნელოვანი ცხოვრების მანძილზე, — აღნიშნა მომხსენებელმა.—მედ. მეცნ. დოქტორი დიმიტრი ნაზარიშვილი სიმართლეს ემსახურებოდა და მისი სიყვარული

ქართველი ერისადმი და მშრომელი ხალხისადმი მუდამ განუსაზღვრელი იყო. ის იყო ნამდვილი კეთილშობილი ადამიანი, გულითადი ექიმი, დიდი საზოგადო მოღვაწე და მეცნიერი.

სწორედ დიმიტრი ნაზარიშვილზე ზედგამოჭრილია მისი თანამედროვე ქართველი პოეტის მამია გურიელის სიტყვები: „ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად, სამშობლო შენი მარად გახსოვდეს. თუკი გსურს გახდე ადამიანად"[1].

ქუთაისი, 1957 წ., 10 ივნისი.

---

[1] დოც. სოსრ ასლანიშვილი, „მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის დიმიტრი ალექსანდრეს ძე ნაზარიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა", მოხსენება. 1955 წ., თბილისი.

შ ი ნ ა ა რ ს ი

ავტორისაგან 3
დ. ა. ნაზარიშვილის ბავშვობა და სწავლა-აღზრდა 4
ცნობილი მეცნიერი-ექიმი და საზოგადო მოღვაწე . 8
დ. ნაზარიშვილის მუშაობა სადოქტორო დისერტაციაზე 10
ქუთაისში მოღვაწეობის პერიოდი (1887 — 1927 წწ.) . . 15
დ. ნაზარიშვილი—წყალტუბოს მინერალური წყლების პოპულარიზა-
ტორი და კურორტ წყალტუბოს დაარსების ინიციატორი . 20
დ. ნაზარიშვილი—გაზეთ „შრომის“ დაარსების ინიციატორი და რედაქ-
ტორ-გამომცემელი 35
გაზეთ „შრომის“ ლიბერალ-ხალხოსანთა ჯგუფი და დ. ა. ნაზა-
რიშვილი 40